საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 30 ნოემბერი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 50 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 12 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს ვერც ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მოწერა ... კონტორაში ... Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადი მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ. Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 260 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 260

ღრმად დამწუხრებულნი დედა მარია და ძმა ხუტუ გუგუშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს, 30 ნოემბერს, დილის 11 საათზე დიდუბის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოდ დაკარგულ პირველის საყვარელ შვილის და მეორის—დის

დორას (ცულუას)

სულის მოსახსენებლად.

თამარა, გიორგი და ლევან რევიები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს, 30 ნოემბერს, დილის 11 საათზე დიდუბის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მათთვის ძვირფასი

დორას (ცულუას)

სულის მოსახსენებლად.

მძიმედ დამწუხრებული იპოლიტე ნიკიფორის ძე ჭყონია გულითად მწუხარებით აუწყებს ნათესავებს და ნაცნობებს ძვირფასი მეუღლისას

ანეტა (მასიკო) დუმბაძის ასულის ჭყონიას

გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვის დღე დანიშნულია სამშაბათს, 3 დეკემბერს ს. ლეხაში ღვთის მშობლის ეკლესიის გალავანში.

ლუკა ჭელიძე, მართა ლუკას ასული და აფრასიონ ლომთათიძენი, გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველის მეუღლისა, მეორე დედისა და მესამე სიდედრისა

ალათი ჭელიძის

გარდაცვალებას, დასაფლავება მოხდება შაბათს, გიორგობისთვის 30-ს (ახალი სტილით) სოფ. ბახვის, ღვთის-მშობლის ეკლესიის გალავანში.

ყარამან და ნატალია მუხუზლები ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, მათი უსაყვარლესი შვილის

ალიკოს

უდროოდ გარდაცვალებას.

ღრმად დამწუხრებულნი დედა სალომე, შვილები: აკაკი, დომიდე, სევერიანე, დები: ნინა და პაშა, ბიძაშვილები: ნიკოლოზ და შალიკო ჩანჩალეიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 26 ნოემბერს ღამის 2 ნახ. საათზე უდროოდ გარდაიცვალა მათი უსაყვარლესი პირველის შვილი და დანარჩენების და

ელენე კონსტანტინეს ასული ჩანჩალეიშვილი

რომლის გამოსვენება მოხდება კვირას 1 დეკემბერს, შუადღის 12 საათ. საკუთარ ბინიდან. ნაძალადევი—ლოტკინის ქუჩა № 24. დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე. (2—1)

კვირას, 1 დეკემბერს,

ლევან გიორგის ძე წერეთლის

გარდაცვალების მეორმოცე დღეს, დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი მისი სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძმა მისი, ირაკლი წერეთელი, და ელენე დემოლონი, ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა და ანასტასია და ეკატერინე ნიკოლაძეები. წირვის დასაწყისი 10 საათზე. პანაშვიდი 12 საათზე. (2—1)

## რუსეთის გამაერთიანებელნი

მოკავშირე სახელმწიფოთა ბრწყინვალე გამარჯვებამ და ინგლისის ჯარების ბაქოში ჩამოსვლამ უკანასკნელ დღეებში უფრო და უფრო გაბედულად აალაპარაკა ის წრეები, რომლებიც აქამდის ვერ ბედავდნენ პირდაპირ გალაშქრებას საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. განახლებული „ტიფლ. ლისტოკი", მოდაშნაკცუტუნე „კავკაზსკოე სლოვო", თარშაბათის „ედინენიე",—სულ ყველანი შეერთებით და შეთანხმებით გზას უმზადებენ განცალკევებულ სახელმწიფოებს რუსეთთან შეერთებისათვის. სულ ყველანი გვარწმუნებენ, რომ რუსეთისაგან განცალკევება და ცალკე სახელმწიფოს დაარსება დაუფიქრებლობის და დროებით შიშის ნაყოფია, რომ დღეს აღარ არსებობს ის გარემოებები, რომლებმაც ეს ნაბიჯი გადაგვადგმევინა; ოსმალეთი, რომელიც განადგურებას გვიქადდა, დაეცა, დასუსტდა; გერმანია, რომლის გავლენითაც მოხდა დამოუკიდებლობის გამოცხადება, დამარცხდა. მაშ რაღამ უნდა დაუშალოს განცალკევებულ სახელმწიფოებს, რომ ისევ რუსეთისაკენ იბრუნონ პირი და შეერთების პოლიტიკა აწარმოონ?

ამ ტკბილი ლოთაიების სიმღერაში ყველას „კავკ. სლოვომ" გადააჭარბა. იგი გვარწმუნებს, რომ რუსეთთან შეერთების წინააღმდეგ სრულიად არაფერის თქმა არ შეიძლება. პირიქით, როგორც დემოკრატიული, ისე პატარა ერების ნაც. ინტერესები მოითხოვენ ამ გაერთიანებას. გაერთიანებული რუსეთი უეჭველად დემოკრატიული იქნება: „მხოლოდ გადამეტებული ეჭვიანობა, დღევანდელი რუსეთის უცოდინარობა ან პირდაპირი არა - კეთილსინდისიერება თუ დაინახავს თანამედროვე რუსეთში მემარჯვენეთა ან ცენტრალისტურ ელემენტების ბატონობას". შეერთებულ რუსეთში, „უეჭველად დემოკრატია იბატონებს", და ეს დემოკრატია „ეჭვი არ არის, ყველა ერების ფედერატიულ კავშირის იდეას მოითხოვს და არ მოინდომებს ძალით შეიკავოს რომელიმე ერი ამ კავშირის საზღვრებში", განაპირა ადგილების უფლებას ვერ შესძლებს და არ მოინდომებს". მაშ რაღა გიშლით, რომ უარი სთქვათ თქვენს გამოუკიდებლობაზე, ისევ შეხვ დეთ რუსეთის საზღვრებში და იცხოვროთ ისე, როგორც განცალკევებამდის სცხოვრობდით?

ასე ნაზათ გვეძახის „კავკ. სლოვო". მაგრამ, სამწუხაროთ, ამ გაზეთის ნაწერიდანვე ჩანს, რომ მას სრულიად ისე არ ესმის სიტყვა „დემოკრატიზმი", როგორც ჩვენ, რომ „კავკაზ. სლოვოს" პოლიტიკური იდეალები სულ სხვანაირია, ვიდრე ჩვენი, რომ ჩვენ და ამ გაზეთის პუბლიცისტები სულ სხვა სახელს ვხმარობთ პოლიტიკურ მოვლენათა დასახასიათებლად და ამიტომ ის, რაც არ აშინებს მათ, გვაშინებს ჩვენ.

საქმეც სწორეთ იმაშია, რომ „კავკ. სლოვო" და სხვა „გამაერთიანებელნი" თავის იდეალათ იახავენ მხოლოდ და მხოლოდ ამ გაერთიანებას:

„გაერთიანება" ყოველ შემთხვევაში!"—აი მისი ლოზუნგი; ამ მიზანს მზათ არიან შესწირონ მსხვერპლად ყველა დანარჩენი პოლიტიკური მიზნები. მათთვის მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს იმ საფრთხეს, რომელიც შეიძლება მოელოდეს დემოკრატიას ამ გაერთიანებისაგან. ოღონდ რუსეთი გაერთიანდეს, და თუნდაც მემარჯვენეებმა გაიმარჯვოს იქ, აი რას სწერს ყოფილი სოციალდემოკრატი ბ. შირსკი განახლებულ „ტიფ. ლისტოკში". ისეთივეა ის სულიერი განწყობილება, რომელიც უკარნახებს „კავკ. სლოვოს" პუბლიცისტებსაც. ოღონდ გაერთიანებული რუსეთი დაინახონ, და ისინი მზათ არიან საქმე ისე მოგვაჩვენონ, რომ დღევანდელი კადეტური და დენიკინის არმიაც კი დემოკრატიზმის მატარებელნი არიან, რომ ისინიც კი „თვითგამორკვევის" პრინციპის ნიადაგზე დგანან, ისინიც კი არ მოინდომებენ „დიდ-რუსეთის" პოლიტიკის წარმოებას. საქმეც სწორედ ამაშია, რომ კადეტების და დენიკინის პოლიტიკა ჩვენ მიგვაჩნია დემოკრატიის დამამხობელად, „კავკ. სლოვოს" პუბლიცისტები კი ამ პოლიტიკის გამარჯვებას სთვლიან დემოკრატიზმის განმტკიცებით.

რათ გვაშინებს ჩვენ დღევანდელ რუსეთთან გაერთიანება? ჩვენ ვხედავთ, რომ დღევანდელ რუსეთში მრავალი ელემენტები იბრძვის: ბოლშევიკები, უფის მთავრობა, ალექსეევის მოხალისეთა ჯარი და ყუბანის ყაზახობა და სხ. ჯერ სრულიად გამოურკვეველია, რომელი ძალა დარჩება გამარჯვებული ამ აბობოქრებულ ზღვაში, რა შედეგს მოგვიტანს ეს საშინელი ქაოსი, ფორმას მიიღებს იგი, როდესაც ეს ღელვა დაწყნარდება. თუ კი დღის ვიკისრებთ წინასწარმეტყველობას, უფრო იმის თქმა შეიძლება, რომ ამ ქაოსში დენიკინის ხმა ისმის უფრო მკაფიოდ, რომ ეს მიმართულება ბოლშევიზმსაც ჩაახშობს, უფის „ეს ერულ" მთავრობასაც. და რა სულიერ განწყობილების მატარებელია დენიკინი და მისი მოკავშირე ყაზახობა, ეს ჭეშმარიტ დემოკრატებისათვის სადავო საკითხს არ წარმოადგენს.

მაშასადამე, ჩვენი რესპუბლიკის რუსეთთან გაერთიანების საკითხი ჩვენთვის დაყენებულია ან ისე, როგორც გამოურკვეველ ქაოსში გადაშვება, ან ისე, როგორც რუსეთის კონტრ-რევოლიუციის მხარის დაჭერა. დღევანდელ პირობებში ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ გაერთიანებით ჩავაქრობთ იმ ერთად ერთს დემოკრატიულ კერას, რომელზედაც ჯერ კიდევ ანთია რუსეთის რევოლიუციის მიერ დანთებული ცეცხლი.

„კავკ. სლოვოს", „ტიფლის. ლისტოკის" და ამნაირ გამოცემების მესვეურთ სწორეთ ამ ცეცხლის ჩაქრობა უნდათ და ამით აიხსნება, რომ დღევანდელ პირობებში გვირჩევენ ჩვენს დამოუკიდებლობაზე ხელი ავიღოთ.

## პრესა

გაზ. „საქართველო" კაპიტალისტების დაცვისათვის უნდა სწერდეს. და როცა შიგ უეცრად წააწყდები წერილს უცნაური სათაურით, „შრომის დაცვისათვის", არ შეიძლება გაკვირვება არ გამოუცხადოს სახეზე.

მაგრამ აი კითხულობთ წერილს და თქვენთვის აშკარა ხდება ყოველივე:

„შრომის დაცვისათვის" წერილი ბ. ტიტე მარგველაშვილისა შეიცავს ასს მეტ აზრს: ერთ იმას, რომ ზოგიერთ დემოკრატიულ ქვეყნებმა შრომის დასაცველად უკრძალავენ კანონმდებლობითი გზით უცხოელ ჩამომრჩენილ მუშების შემოსვლას და კონკურენციის გაწევას. უკეთ რომ ვსთქვათ, უკრძალავენ კაპიტალისტებს ასეთ მუშების შემოყვანას ადგილობრივი მუშების ასალაგმავად.

მაგრამ ბ. ტიტე მარგველაშვილს აქ რასაკვირველია არც მუშები აინტერესებს და არც ყვითელ კანიანების საფრთხე: იგი გატაცებულია ლტოლვილების საკითხით. მათი განდევნა მიაჩნია „შრომის დაცვის" საკითხათ მოჰყავს ამერიკის და ავსტრალიის ზოგიერთ სახელმწიფოთა აღკრძალვა კანონმდებლობას, ჩინელი მუშების შემოყვანის შესახებ, იგი განაგრძობს:

„ჩვენს მშრომელ ხალხს სასტიკი განსაცდელი მოელის შემოხიზნულ დაბალ კულტურის ელემენტის მეტოქეობით. სოფლად, ქალაქად და მეტადრე ქალაქად სამხრეთ საქართველოში ბლომად შეხვდებით დროებით ჩვენში ჩამოსულ ლტოლვილთ" სახელით. ისინი სიამოვნებით ეტანებიან ყოველგვარ სამუშაოს და დამაფიქრებელ მეტოქეობას უწევენ ჩვენ მუშებს. მათ ცოტაც გყოფნით. ნაკლებ სმა ჭამას ნაჩვევნი, აბანოსა და გასართობს თუ ტრამვაის სრულიად არ სცნობენ. მეტი ... ქარხნებშია—მოთავსებული სულ მცირეოდენ ხელფასით, ზოგი „კუსტარულ მრეწველობის" წარმოებებს მიეკედლა, სოგი „შეითანისა" და „სალდათის" ბაზარზე, იოლად, რაღაც მანქანებით ნაშოვნ ნივთებს, ერთი ასად ჰყიდის, ზოგი სოფლად აქა იქ სამუშაოზეა გასული. ყველა ესენი, რასაკვირველია, სახელმწიფო გადასახადებში არავითარ მონაწილეობას არ იღებენ. ეს უცხო, ელემენტები მხოლოდ აზიანებს იმ მაღალ საქმეს ჩვენი ხალხისა და მშრომელთა ნივთიერათ უზრუნველყოფისას, რომელიც არის ერთ-ერთი შედეგი ჩვენი ამდენი ხნის მუშაობისა და ბრძოლისა. ამას თან დაუმატეთ, რომ სიბინძურის გამო ამ ელემენტებს შემოაქვთ ბევრნაირი გადამდები სენი, რომელიც ისედაც ავათმყოფობითა, „ისპანკითა" და სხვა გათელილ ხალხს კიდევ ახალს უბედურებას უმზადებს".

ამ ამონაწერში ზოგიერთ რამ სწორია. მართალია მაგ. ის, რომ ლტოლვილთაგან ბევრი ეწევა სპეკულიაციას, რომ სენი ვრცელდება მათი წყალობით, და სხვ. გასაჭირი ადგება ქვეყანას. სხვანაირათ არც შეიძლება ყოფილიყო. მაგრამ ამას რა კავშირი აქვს „შრომის დაცვასთან?" მუშათა კანონმდებლობასთან? სრულიად არაფერი. ლტოლვილების შესახებ საჭიროა შესაფერი ზომების მიღება საზოგადოებრივი თვალსაზრისით, სახელმწიფოებრივი მოსაზრებით, მაგრამ შრომის დაცვასთან კი ხელი არ აქვს. ან თუ აქვს იმდენათ მცირე და იმდენათ შორეული, რომ ამის აქ მოტანა ზედმეტია. ბ. ტიტე მარგველაშვილს ამ შემთხვევაში აინტერესებს, როგორც სჩანს, სულ სხვა. მუშების დაპირდაპირება ამ უცხო ელემენტებზე და ამ გზით მათში ნაციონალისტური მიდრეკილებების გაღვივება-გაძლიერება. და რომ ასეთი ტენდენცია არ შექმნის შრომის გაუმჯობესებას, არამედ მხოლოდ ნაციონალიზმის წისქვილს აამუშავებს, ეს არავისთვის საეჭვო არ არის.

მთელი წერილი ბ. ტიტე მარგველაშვილის სწორეთ ასეთ მოტივზეა აგებული. მუშათა დაცვის უკანასკნელი სიტყვა ყოფილა, მისი აზრით, ლტოლვილებთან ბრძოლა. მაგრამ ვინ უნდა შეიყვანოს ამ უსუსური ქამანდებით შეცდომაში? ლტოლვილთა საკითხი სხვაა და მუშათა დაცვის საკითხი კიდევ სხვა. ჩვენ მის მიერ ნაჩვენებ მოლიპულ გზაზე ვერ შევდგებით. უცხოელ მუშების შესახებ ჩვენ გვაქვს გარკვეული აზრი. გადაჭრით ვებრძვით მათ ხელოვნურათ შემოყვანას ადგილობრივ მუშებთან საბრძოლველათ, ხოლო ბუნებრივი, ნორმალური შემოსვლით რომ მუშები არ დაზარალდნენ, ჩვენ ვცდილობთ ეს შემოსულნიც განვითარების იმ სიმაღლეზე ავიყვანოთ, რომელზედაც ადგილობრივნი დგანან. ამით უკეთ დავიცავთ შრომასაც და მუშათა კლასის ხელიდარობის პრინციპსაც.

## მერვე ყრილობა

### ს.-დ. მ. პარტიის წარმომადგენელთა.

### რეზოლიუციები.

7) მუდმივ ჯარის და სახალხო გვარდიის შესახებ.

ყრილობა აღიარებს, რომ არსებულ პირობებში აუცილებლად საჭიროა როგორც მუდმივ ჯარის გაწვრთნა, აგრეთვე სახალხო გვარდიის რაზმთა გაძლიერება.

ყრილობა ავალებს პარტიულ ორგანიზაციებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ სახალხო გვარდიის მოწყობის საქმეში და ხელი შეუწყონ იქ დემოკრატიის თავდადებულ მომხრეთა შემოკრებას.

ყრილობა საჭიროთ სცნობს გადაჭრით აღინიშნოს, რომ სახალხო გვარდია პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას, რევოლიუციონური დემოკრატიის წინაშე და შემდეგშიც შეასრულებს, უკეთუ შეინარჩუნებს თავის პირვანდელ სახეს და დარჩება შეიარაღებულ ძალათ ფაბრიკა ქარხნებსა და სოფლად მომუშავე დემოკრატიისა.

ყრილობა საჭიროთ აღიარებს, რომ სახალხო გვარდიასა და მუდმივ ჯარში მომქმედი აფიცრობა და უნტერ-ოფიცრები ერთნაირ ეკონომიურ პირობებში იყვნენ ჩაყენებულნი, აგრეთვე ერთნაირ საფუძველზე უნდა აეგოს ჯარისა და გვარდიის სურსათითა და მოკაზმულობით დაკმაყოფილება.

ყრილობა აღნიშნავს, რომ შეიარაღებული ძალა დემოკრატიის ხელში უდიდეს იარაღს წარმოადგენს, უკეთუ მას სათავეში დემოკრატიისა და რესპუბლიკის ერთგული მომხრენი უდგია.

ყრილობა იმედს გამოსთქვამს, რომ დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს ამ გარემოებას და მით ხელს შეუწყობს ჯარის მიერ რევოლიუციის მონაპოვართა და რესპუბლიკის დამოუკიდებლობის შენარჩუნებას.

ყრილობა ავალებს პარტიულ ორგანიზაციებს მიიღონ ენერგიული ზომები დეზერტირების აღმოსაფხვრელად.

ყრილობა იმედოვნებს, რომ ჯარი და სახალხო გვარდია ხელი-ხელ ჩაკიდებული იდგიან დემოკრატიული რესპუბლიკის დასაცველად.

8) პარტიულ ორგანიზაციებზე:

ყრილობა აღიარებს, რომ პრინციპათ ჩვენი პარტიული აღმაშენებლობისა უნდა დარჩეს ნაცადი საუკეთესოდ მაჩნეული პრინციპი დემოკრატიული ცენტრალიზმისა, და ყველა სოციალ-დემოკრატების, განურჩევლად ეროვნებისა, ერთ მთლიან ტერიტორიალურს ორგანიზაციაში შეკავშირებისა.

ამ პრინციპზე უნდა იქნეს აგებული ყველა ორგანიზაციები, მხოლოდ სხვადასხვა ერების მუშებისათვის თავის ენაზე პროპაგანდა-აგიტაციის გასაწევათ შედგეს სპეციალური საგიტაციო-საპროპაგანდო და ლიტერატურული ჯგუფები.

პარტიულ მუშაობაზე.

ყრილობა სცნობს, რომ განსაკუთრებული და საპასუხისმგებლო მდგომარეობა სოც. დემ. პარტიისა, განსაკუთრებულ მოვალეობას აძებს ყველა ორგანიზაციებს გააძლიერონ მუშაობა პარტიული იდეების გასავრცელებლად და განსამტკიცებლად, როგორც წევრებსა, ისე საზოგადოების ფართო წრეებში, ლექციების კითხვით, პოლიტიკური კამპანიის ფართოდ წარმოებით, მოწინავე წრეების მოწყობით და გაზეთების, ჟურნალების და წიგნების გამოცემით. ამავე მიზნით ყრილობას საჭიროთ მიაჩნია ცენტრალურ პარტიულ დაწესებულებასთან დაარსდეს პარტიული სკოლა მოწინავე აგიტატორ პროპაგანდისტთა კადრის მოსამზადებლად.

პარტიულ საქმიანობის გასაძლიერებლად თვითმართველობის ორგანოებში და ყველა კულტურულ და პროფესიონალურ დაწესებულებებში უნდა დაარსებულ იქნეს იქ მომუშავე პარტიულ ამხანაგებისაგან სოც. დემ. ფრაქციები, რომელნიც იმოქმედებენ სამაზრო და ცენტრალურ ორგანიზაციების საერთო ხელმძღვანელობის ქვეშ.

ადგილობრივ ორგანიზაციების პირდაპირი უშუამავლო ჩარევა ადმინისტრატიულ განკარგულებებსა და მოქმედებაში ყრილობას მიზანშეუწონილად მიაჩნია, რადგან მას არევ დარევა შეაქვს რესპუბლიკის დემოკრატიულ აღმშენებლობაში. ყრილობა ავალებს ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებს და ჯგუფებს თავისი შეხედულებანი და მოსაზრებანი ამა თუ იმ დაწესებულების და პირის შესახებ წარუდგინონ ჩვენს ამხანაგებს, რომელნიც სათანადო დაწესებულებებში მუშაობენ და აგრეთვე ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებს და პრესას.

9) თვითმართველობების შესახებ.

ადგილობრივ თვითმართველობის და მართველობის შესახებ მოხსენების მოსმენის შემდეგ ყრილობა ადგენს:

დემოკრატიულ სახელმწიფოსთვის მკვიდრი და შეურყეველი საფუძვლის ჩასაყრელათ ყრილობა აუცილებელ საჭიროებათ აღიარებს, რომ ყველა ადგილობრივი საქმეების გამგებლობა და ცენტრის განკარგულებათა ასრულება გადაეცეს ადგილობრივ თვითმართველ ორგანოებს.

ახლად შემოღებულ ერობათა ფეხზე დასაყენებლად და გასაძლიერებლად ყრილობა საჭიროთ სთვლის დაუყოვნებლივ გადაეცეს ადგილობრივ თვითმართველობებს ადგილობრივი საქმეები მათი კრედიტებით და ერთდროულად დახმარება აღმოუჩინოს უპროცენტოდ ან მცირე პროცენტიან სესხის სახით სახელმწიფოს ხაზინიდან.

ცენტრალურ მართველობის ხელში უნდა დარჩეს მხოლოდ საერთო სახელმწიფოებრივი საქმეები და ადგილობრივ თვითმართველობათა ზოგადი ხელმძღვანელობა.

ყრილობა აუცილებლად სთვლის ადგილობრივ ორგანოებს მიეცეს ფართო უფლებები ფინანსიურ საშუალებათა მოსაპოვებლათ და წილი დაედოს საერთო სახელმწიფოებრივ გადასახადებში.

10. დამფუძნებელ კრებაზე:

მოისმინა რა მოხსენება დამფუძნებელ კრებაზე და იღებს რა მხედველობაში, როგორც საშინაო, ისე საგარეო მდგომარეობას ჩვენი ქვეყნისა, ყრილობა ადგენს, რომ საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრება უნდა მოწვეულ იქნას არა უგვიანეს პირველი მარტისა და ავალებს ხელმძღვანელ ორგანოს და ადგილობრივ ორგანიზაციებს დაუყონებლივ შექმნან ცენტრალური და ადგილობრივი საარჩევნო კომისიები.

ყრილობას საჭიროთ მიაჩნია დაუყოვნებლივ დაარსდეს განსაკუთრებული საარჩევნო ფონდი პარტიულ ამხანაგების მიერ შემოტანილ სპეციალურ გადასახადისაგან თანახმად ხელმძღვანელ ორგანოს დადგენილებისა.

მეორე სხდომა მოუნდა დამფუძნებელ კრებაში ასარჩევ კანდიდატთა სიის განხილვას, რომლის დამტკიცების შემდეგ ყრილობა დახურა ამხ. ალ. ლომთათიძის სიტყვით, რომელმაც ამხანაგებს მოუწოდა ენერგიულად განაგრძონ დაწყებული ბრძოლა სოციალიზმისათვის.

## ეკონომიური საკითხები

III

ფეოდალურ ნაშთებზე დაყრდნობილი თვითმპყრობელობა სოფლის მეურნეობასთან ერთად ჩვენს ვაჭრობა მრეწველობასაც ახშობდა და განვითარების გზას არ აძლევდა. ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტურათ აღორძინება შეუძლებელი იყო, რადგანაც ფეოდალურ ურთიერთობასთან ერთად თვითმპყრობელური მეხრუჭეები განსაკუთრებით განაპირა დამონებულ ქვეყნებს ავიწროებდა და სულსა ხდიდა.

ჩვენი ქვეყნის ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას განზრახ და წინასწარ მოფიქრებული და გამოზომილი ეკონომიური პოლიტიკით ჰკლავდა თვითმპყრობელობა; მისი ეკონომიური პოლიტიკის გეგმა, რომელსაც ის თავისებურათ ახორციელებდა ჩვენში, მიმართული იყო ჩვენი საწარმოვო ძალების შებოჭვა-შებორკვისაკენ.

ძველი რეჟიმის ჭირისუფლებმა კარგათ იცოდნენ, რომ საწარმოვო ძალების განვითარებით და ვაჭრობა-მრეწველობის აყვავებით საქართველო ეკონომიურათ გაძლიერდებოდა, წელში გასწორდებოდა და ამით ის პოლიტიკურათაც გამოფხიზლდებოდა, გაღონივრდებოდა, რაც საშიში შეიქმნებოდა მისი აქ ბატონობისათვის.

რუსეთის ძველი მთავრობა, ჩვენი ქვეყნის უხვ სიმდიდრეს ვერც თვითონ იყენებდა და არც ჩვენ გვაძლევდა ჩვენი საწარმოვო ძალების აღორძინებით მისით სარგებლობის საშუალებას; ის მხოლოდ იტაცებდა და ქვეყნის დაგროვილ სიმდიდრეს უხეში ძალით სწოვდა.

თვითმპყრობელობა დატაცებულ სიმდიდრესთან ერთად ნედლ მასალას თავისი სამრეწველო ქალაქებში მიეზიდებოდა, უმთავრესად მოსკოვსა და პეტ-

როგრადში, სადაც მას თავის ქარხანა-ფაბრიკებში საქონლათ ამზადებდა, ამუშავებდა და ერთი ათად აწეულ ფასებში ჩარჩული ვაჭრების ხელით ჩვენ გვაწვდიდა. მაგალითად, ჩვენი მატყლი, ბამბა და სხვა მხოლოდ მოროზოვს ამდიდრებდა. მოსკოვი, ვარშავა, პეტროგრადი, ლოძი და სხვა, აი ის სამრეწველო ქალაქები, რომლებიც თავისი ნაწარმოებით ჰკვებავდნენ სხვათა შორის ჩვენ ქვეყანასაც.

ამის გამო ჩვენში უმთავრესად ჩარჩული კაპიტალი გროვდებოდა და ისიც უმთავრესად უცხო ტომის ელემენტების ხელში.

მაგრამ საერთაშორისო ომმა და რევოლიუციამ ეს ჩვენი დამღუპავი ისტორიის გზა მოსპეს და მით ჩვენი დემოკრატია გამოიყვანა იმ ჯოჯოხეთური ეკონომიურ-პოლიტიკური ჩიხიდან, სადაც ჩვენ ვიყავით მომწყვდეულნი.

IV.

სოფლათ რევოლიუციამ პირველი დღეებიდანვე მიწები ფაქტიურათ გადასცა განთავისუფლებულ სოფლის მუშებს, ყოფილ ყმა-გლეხებს, რაც გამარჯვებულმა დემოკრატიამ ცნობილი 7 მარტის კანონით იურიდიულათაც დაადასტურა.

ამით თავად აზნაურობას ერთხელ და სამუდამოდ წაერთვა ის უძლიერესი ეკონომიური იარაღი, რომლის საშუალებითაც ისა მბრძანებლობდა და ბატონობდა; ამით ერთხელ და სამუდამოთ ძველ რეჟიმს გამოეცალა ის საძირკველი, რომელზედაც ის იყო დაყრდნობილი.

ჩვენმა გლეხობამ თავისუფლების პირველი დღიდანვე მთელი მიწები ხელთ იგდო და თავისი დაბორკილი ძალა შრომის ინტენსივობით აამოძრავა. მამა-პაპურმა გუთანმა შეიძლო აუარებელი მიწების დამუშავება; მოიხნა და დაითესა ასი წლის მოუხნავთ და დაყამირებული ადგილები, რომლებიც უნაყოფოთ იყო გაშვებული და ქვეყანას არას აძლევდა.

მიწების ექსტენსიურათ ასეთი ციებ-ცხელებით დამუშავებას ხელი შეუწყო საზოგადოთ იმ უსურსათობამ, რომელმაც თავი მწვავეთ იჩინა ხანგრძლივი ომისა გამო, და იმ საარაკო პურის სიძვირემ, რომელიც უმთავრესად ჩვენი ქვეყნის ეკონომიურმა იზოლიაციამ წარმოშვა;

ჩვენმა სოფელმა იგრძნო მის თავზე დატეხილი საფრთხე და გადახნა-გადააშავა მიწები ისეთ ადგილასაცკი, სადაც წინათ ფეხის დადგმასაც კი ვერა ბედავდა; ამით აიხსნება ის საუკეთესო მოსავალი, რომელიც ასე უხვათ მოგვცა ასი წლობით მოუხნავმა, დაყამირებულმა და ნოყიერმა მიწამ.

რევოლიუციამ ამით ამოაგდო ის დამაბრკოლებელი მიზეზები, რომლებიც კაპიტალისტური წეს წყობილების სოფლათ განმტკიცებას წინ ეღობებოდა და ფეოდალის სრულ ბატონობას აფერხებდა.

ფეოდალური ნაშთების მოსპობის და კერძო საკუთრებისათვის მტკიცე ნიადაგის განმზადების შემდეგ, ბატონყმური ურთიერთობის ნანგრევებზე ჩვენ ვხედავთ უფლებრივათ გათანასწორებულ მოქალაქეების ორ ეკონომიურ კატეგორიათ დანაწილებას: ერთ მხრივ ჯგუფდებიან და ორგანიზაციულათ კავშირდებიან შეძლებულები, მეორე მხრივ— ღარიბი და ხელ-მოკლე სოფლის მუშები.

ფულიანი და უფულო, ხაზეინი და მუშა სოფლათაც ერთი მეორეს უპირდაპირდება, რითაც დღითი დღე მტკიცდება კაპიტალისტური ურთი-ერთობა და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული წესწყობილება.

ასეთია მოკლეთ ის ძირითადი ეკონომიური ცვლილება, რომელიც რევოლიუციამ სოფლათ მოახდინა, დაუბრუნდეთ ახლა ქალაქს.

ი. ირემაშვილი.

# მუშათა წერილები

## საარჩევნო ფონდი.

პარტიულ ყრილობამ დაადგინა, რაც შეიძლება დაჩქარებით იქნას მოწვეული საქართველოს დამფ. კრება.

ამ გვარათ ახლო მომავალში საარჩევნო კამპანიის ირგვლივ ბრძოლა გაჩაღდება და როგორც წინეთ, ისე ეხლა მოწინააღმდეგე პარტიები გაერთიანებული ძალებით სასტიკ ომს გამოგვიცხადებენ: სხვადასხვა დაპირებებით, დემაგოგიით შეეცდებიან ხალხის გადაბირებას და ხმების მოგროვებას.

საარჩევნო სამზადისს უკვე შეუდგნენ, პროპაგანდა-აგიტაციაც გააძლიერეს და საერთო ამოძრავებაც დაიწყეს. „რა მიეცით თქვენ ხალხს, რა მისცა თქვენმა მთავრობამ?"—ჩვენ კი ყველაფერს მივსცემთ". ასე გვეკითხებოდნენ და ასეთ დაპირებებით უმასინძლდებოდენ დუშეთის მიტინგზე ჩვენი იდეური მოწინააღმდეგენი ხალხს. ასეთივე სიტყვები გაისმის პარლამენტში, ქუჩაში, სოფლათ და ქალაქათ.

ეს წინასწარი ამოძახილია, წინასწარი საარჩევნო ხრიკებია.

ჩვენს მშრომელ ხალხს,—დემოკრატიას შორისაც დიდი პოლიტიკური საქმიანობის ხანა უდგება.

საქ. დამფ. კრების მოწვევა, ქვეყნის კანონიერ მემკვიდრეს ხელში გადასვლა ხალხის ბედ-იღბალის მისი მომავლის მთელი დემოკრატიის ძალთა-მობილიზაციას მოითხოვს და ეს როლი მან ღირსეულად უნდა შეასრულოს და თავისი სიტყვა უნდა სთქვას ჩვენს შინაურ და საერთაშორისო საგარეო პოლიტიკაში.

ეს მთავარი საქმიანობა ე. ი. დამფ. კრების საარჩევნო ბრძოლის ჩატარება მოითხოვს დიდ ენერგიას, მოწინავე ძალების ცოცხალ მოქმედებას. ის პოლიტიკური გულ-გრილობა, რომელიც ამ ჟამათ იქ აქ ჩამორჩენილ მხარეებში ფეხს იკიდებს დაძლეული გადალახული უნდა იქნეს, ხალხი საარჩევნო ბრძოლაში ჩაებას, პოლიტიკურათ გამოცოცხლდეს.

სისტემატიური მუშაობის დაწყება, ორგანიზაციების მწყობრი გამოსვლა, პარტიულ აპარატების საჩქაროთ აბრუნება და ხალხის სულსა და გულში შეტრა, რომ ის ჩვეულებრივად გამოჩნდეს ცხოვრების სცენაზე შეერთებული ძალით,—აი ჩვენი სადღეისო საქმე, აქეთ უნდა იყოს მიქცეული ჩვენი ყურადღება

ორგანიზაციულ მუშაობასთან ერთად საჭიროა საარჩევნო ფონდის შექმნა დაჩქარებით და ამისათვის ფულის გამოღება.

ჩვენ ვიცით ბურჟუაზიული პარტიები ნივთიერათ უზრუნველყოფილია, მათ შეუძლიათ დიდი თანხა გაიღონ არჩევნებისათვის, მხოლოდ პოლიტიკური ბატონობა ხელში ჩაიგდონ.

ჩვენი პარტია ძლიერია იმით, რომ მას მხარს უჭერს ცხოვრებისაგან შევიწროვებელი კლასები და მისი ნივთიერი მდგომარეობა ყოველ დროს უნუგეშოა.

მისი ერთად ერთი შემოსავალი, პარტიული გადასახადია, მის ნივთიერ გაძლიერების წყარო მის თანამგრძნობ ამხანაგების მიერ გაღებული კაპეიკებია.

დღეს, როდესაც არჩევნები იწყება საჭიროა ფული—და ეს კი ჩვენზეა დამოკიდებული. გვექნება ფული—შესაფერათ ჩავატარებთ არჩევნებს და თუ ამ მხრით ხელი შეგვეშლება ეს გამოიწვევს მუშაობის შესუსტებას.

ყრილობამ ამის შესახებ დადგენილება მიიღო და ჩვენი ვალია საარჩევნო ფონდისათვის ჩვენი კაპეიკები გავიღოთ და მით ნიადაგი მოვუმზადოთ ჩვენს მკვიდრ და ბრწყინვალე გამარჯვებას.

თ—ლი მუშა.

# ბაქოში

ამ უკანასკნელ თვეებში ბაქოში პოლიტიკური მდგომარეობა ძლიერ სწრაფად იცვლებოდა. მარტის სისხლიანმა დღეებმა ბატონობა არგუნეს ბოლშევიკებს და მემარცხენე დაშნაკელებს. აგვისტოში ბოლშევიკები დამარცხდნენ და იძულებული შეიქნენ ძალა-უფლება დაეთმოთ კოალიციონურ დემოკრატიულ მთავრობისათვის, სადაც უმრავლესობა ჰყავდათ „დაშნაკციუტუნის" და მემარჯვენე ესერების პარტიებს. სექტემბრის სისხლიან ამბებს მოჰყვა ბაქოს აღება ოსმალეთის და ადერბეიჯანის ჯარების მიერ. ორი თვის განმავლობაში ბაქოში მათი ბატონობა იყო. ქალაქში დამკვიდრდა სრული გარეგნული წესრიგი. და აბსოლიუტური მშვიდობიანობა. მაგრამ კულტურულ კაცზე, რომელიც მიჩვეულია ცოცხალ ცხოვრებას თანამედროვე ქალაქისა, ოსმალეთის წეს რიგი ბაქოში ახდენდა არა სასიამოვნო, მძიმე შთაბეჭდილებას; ქუჩებში თვალში გეცემოდათ თითქმის ინტელიგენციის სრულიად არ ყოფნა. მთელი ქალაქი ავსებულიყო ოსმალთა ასკერებით და ადერბეიჯანის პოლიციელებით მათრახით ხელში, როგორც ეს იყო რევოლიუციამდე. სავსებით მოსპობილი იყო მოქალაქოებრივობა და პოლიტიკური თავისუფლება. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ხალხს, კოშმარულ ამბების გამო თითქოს დავიწყებოდა როგორც ქუჩებში, ისე, სახლებშიც სრული ხმით ლაპარაკი. ყველა, ვინც კი წინეთ იცნობდა ბაქოს მდუღარე ცხოვრებას, გრძნობდა, რომ ეს სამარისებური სიმშვიდე დიდხანს ვერ გასტანს და ახლო მომავალში ოსმალეთის წესრიგის შეცვლის სხვა წესრიგი და განახლდება მოუსვენარი, ცოცხალი ცხოვრება მსოფლიოს ერთ ერთ სამრეწველო ქალაქში.

ნოემბრის პირველ ნახევარში ბაქოში ორ ჯერ იყო სპარსეთში მყოფი მოკავშირეთა ჯარების უმაღლეს სარდლობის დელეგაცია. მათმა მოსვლამ ბაქოს მცხოვრებლებში დიდი გამოცოცხლება გამოიწვია და მოხდა საგნათ სხვადასხვა მითქმა მოთქმისა და ჭორებისა. დელეგაციის მოსვლის მიზანი იყო ხელის შეეწყო ბაქოს ოსმალთა ჯარებისაგან დაცლისთვის, რომელიც ოსმალეთის უმაღლესმა სარდლობამ არ გამოიჩინა. სისწრაფე, დროებითი შერიგების პირობების ბაქოს შესახები სისრულეში მოყვანაში. 15 ნოემბ. გაგებულ იქნა, რომ ჩრდილოეთ სპარსეთში მყოფ მოკავშირეთა ჯარების სარდალმა ტომსონმა ნური ფაშას უკანასკნელი ვადათ მისცა 17 ნოემბერი. ამ დღეში არ უნდა ყოფილიყვნენ ოსმალები ბაქოში და ამავე დღეს მოელოდნენ ბაქოში მოკავშირეთა ჯარების მოსვლას.

ჯერ კიდევ 16 ნოემბერს, საღამოს ბაქოს ჰქონდა ჩვეულებრივი უკანასკნელი კვირეებისათვის სახე. ჯერ კიდევ ფრიალებდნენ ოსმალთა ბაირაღები დაწესებულებებზე. ოსმალეთის ჯარების უფროსების ბინასთან იდგნენ ბუტკები ასკერებით, ქუჩები სავსე იყო ასკერებით, რომლებიც, როგორც წინა დღეებში სადგურისაკენ მიეზიდებოდნენ ყოველგვარ ქონებას სამხედრო მოწყობილობით დაწყებული და კანტორის შკაფებით და რბილ დგამით გათავებულს, ქუჩებზე ინტელიგენციის ვერ დაინახავდით.

მაგრამ მეორე დღეს, 17 ნოემბერს, ბაქო საკვირველ სურათს წარმოადგენდა: ქუჩებზე არც ერთი ასკერი, სახლებზე არც ერთი ოსმალთა ბაირაღი, გაქრენ სადარაჯოები, რომელნიც იცავდნენ ნური-ფაშას და სხვა ოსმალთა ოფიცრებს. სამაგიეროთ თითქმის ყოველ ნაბიჯზე მუსულმანებთან ერთად გხვდებათ სომხებიც. ქალაქს დიდი გამოცოცხლება ეტყობა, ყველა ბულვარისაკენ მიისწრაფვის ზღვის პირას. იქ უკვე შეგროვილა ხალხი მრავალ ათასობით, განსაკუთრებით მუსულმანთა მცხოვრებლებია. ნავთსადგურთან დამწკრივებულია ადერბეიჯანის ცხენოსანი ნაწილი, რომელიც უნდა შეხვდეს მომავალ მოკავშირეთ, საპატიო მცველების სახით. ყველა ზღვისაკენ გაიცქირება. შორს მოსჩანს მთელი რიგი კვამლისა,—ეს ინგლისის გემებია, რომლებსაც მოყავთ ინგლისის ჯარები ბაქოს მცხოვრებნი, რომლებიც რამოდენიმე საათის წინ განთავისუფლდნენ ოსმალთა ბატონობისაგან მიიჩქარიან მათ ახალ პატრონისაკენ, რომელმაც თითქმის ნახევარი მსოფლიო დაიპყრო. იმ „ურა"-ს ძახილში, რომლითაც მცხოვრებლები ხვდებიან ნავთსადგურზე მომავალ ხალხს, ენტუზიაზმი არ არის. ამ ძახილში უფრო გამოკრთის კრძალვა და შიში ახალი ძალის წინაშე, რომელსაც მოაქვს ჯერ უცნობი აზრები და გეგმა. გემების ნავთსადგურთან მოსვლასთან ერთად ჩნდება ქალაქის ზემო გიდროპლანი, რომელიც ჰყრის პროკლამაციებს. ამ პროკლამაციებში ბიჩერახოვი სალამს უძღვნის, „რუსეთის მოქალაქეთ" და მოუწოდებს მათ შეერთდნენ და მთელი თავისი ძალები მოიხმარონ დანგრეულ რუსეთის სასარგებლოდ და მით მისცენ საშუალება მოკავშირეთა ჯარებს, მალე დაბრუნდნენ თავიანთ სამშობლოში". მოსულ ინგლისელების ჯარებში ურევია არა მარტო კოლონიალური ნაწილები, არამედ ბიჩერახოვის რაზმის ნაწილიც, რომელიც შესდგება განსაკუთრებით ყაზახებისაგან და აგრეთვე სომხის მეომრებისაგანაც. ტომსონს, ჩრდილოეთ სპარსეთში მოკავშირეთა ჯარების მთავარსარდალს ხვდებიან ადერბეიჯანის მთავრობის წარმომადგენელნი, წარმომადგენელნი ქალაქის თვითმართველობისა, რუსული ნაციონალური სომდასი, რუს ოფიცრების და სხ.

ადერბეიჯანის გარნიზონის უფროსის რაპორტის შემდეგ, ტომსონს მიესალმა შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობის ამსრულებელი ადილ ხან ზიატხანოვი, რომელმაც სხვათა შორის შემდეგი სთქვა: „ახალგაზრდა ადერბეიჯანის ხალხი, რომელმაც მსოფლიო ომის უბედურებანი გადაიტანა, ეხლახან დაადგა საკუთარ, დამოუკიდებელ სახელმწიფოს აშენების გზას. ჩვენი ხალხი დაიმედებულია, რომ მისი უფროსი ძმები, ევროპის ხალხნი, მრავალ საუკუნიან ცივილიზაციით, უმაღლეს საკაცობრიო იდეალების გულისთვის, უარს არ ეტყვიან მას, რომ ეზიაროს იგი მათ კულტურულ ოჯახში".

გენ. ტომსონმა უპასუხა: „მოგილოცავთ მსოფლიო ომის გათავებით. გიცხადებთ თქვენ, როგორც უფროსი ინგლის-ფრანგ-ამერიკელთა ჯარებისა, რომ ჩვენ მოვედით აქ თანახმად ოსმალეთთან დადებულ ხელშეკრულებისა, რომ შევსცვალოთ ოსმალური ჯარები, რომლებიც აქამდე თქვენ ტერიტორიას იცავდენ. ჩვენ არავითარი განზრახვა არა გვაქვს ჩავერიოთ თქვენ შინაურ საქმეებში, არც ეხლა, არც მომავალში. მე იმედი მაქვს, რომ ჩვენი შეერთებული მუშაობით ყველაფერი კარგად მოეწყობა".

30 გემით მოსული ინგლისის ჯარები უახლოვდებიან ნავთსადგურს. ყურადღებას იქცევს შავგვრემანი სახეები ინდოელთა, რომლებიც მხოლოდ შავ საქმეს ასრულებენ. ქვეითა ჯარი უმთავრესად შოტლანდიელებისაგან შესდგება.

მეორე დღეს, 18 ნოემბერს, ქალაქს იცავს ადერბეიჯანის პოლიციელებთან ერთად ინგლისელთა და ყაზახთა პატრულები. შემდეგ დღეებში გამოდის ტომსონის სხვადასხვა ბრძანებები. რამდენიმე დღეში თითქმის მთელი ძალა-უფლება ქალაქში გენ. ტომსონის ხელში გადადის. მაგრამ ინგლისის პოლიციასთან ერთად ადერბეიჯანის პოლიციაც მოქმედობს.

პირველ დღესვე, როცა ინგლისელთა ჯარები ქალაქში შევიდნენ, მოხდა რამდენიმე ექსცესები, რომელმაც პანიკა გამოიწვია მუსულმან მცხოვრებლებში. ბიჩერახოვის რაზმელები, უმთავრესად მთვრალები, ცუდათ იქცეოდენ: გლეჯდენ „ვივესკებს", იარაღს ყრიდენ ადერბ. პოლიციელებს და სხვ. ამან გამოიწვია რამდენიმე შეტაკება, ინგლისის სარდლობამ ამის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ მიიღო ზომები. იარაღით სიარულის აღკრძალვა ეხებოდა არა მარტო მცხოვრებთ, არამედ მოკავშირეთა და რუსის ჯარისკაცებსაც, თუ ისინი სამსახურის გარეშე ატარებდენ. ამას გარდა სამხედრო პირებს აეკრძალათ ქალაქის გარსაზღვრულ ადგილებში ყოფნა. ამის შემდეგ მოხდა ბიჩერახოვის რაზმის იარაღის აყრა, რის შემდეგ ექსცესები მთლად მოისპო. აღსანიშნავია ინგლისელ ჯარისკაცთა სამაგალითო ყოფა-ქცევა და თავაზიანი დამოკიდებულება მცხოვრებთადმი.

უკანასკნელ დღეებში ცხოვრება ბაქოში მეტად გაძვირდა. პურის ფასმა, რომელიც 3 მან. ღირდა, 8 მანეთამდე აიწია. ამის მიზეზია რკ. გზის გაფუჭება და აგრეთვე ქალაქში მომხდარი პანიკა. მცხოვრებლები ნერვიულობენ და პატარა ინციდენტი იწვევს შიშს. ამას გარდა მცხოვრებთა შიშს იწვევს ოსმალთა ჯარის სიახლოვე, რომელნიც, თუმცა ბაქოდან 17 ნოემბერს გავიდენ, მაგრამ დაკავებული არიან ბალაჯარაში და ყველა სადგურებზე და ნელ ნელ მიიწევენ ბათუმისკენ. მეორე მხრივ არის ცნობები, რომ ბოლშევიკები ჩრდილოეთიდან დიდ შეტევას აპირებენო. იყო ხმები, რომ მათ პეტროვსკი უკვე აიღოთ, მაგრამ ეს არ გამართლდა.

ინგლისის ჯარებთან ერთად მოვიდა კასპიის ფლოტილია, რომელიც ეხლა ბაქოსან დგას. ინგლისის სარდლობის ზედამხედველობით „ცენტრო კასპიას" ეხლა მხოლოდ სამეურნეო ფუნქციები აბარია, ინგლისელებმა ზღვაზე შეაიარაღეს აგრეთვე რამოდენიმე სავაჭრო გემი.

უკანასკნელ დროს ბაქოში ხმები დადიოდა, რომ პოლკ. ბიჩერახოვს აზრად აქვს თავისი რაზმი დაშალოს და სხვანაირად მოაწყოს. თფილისში გავრცელებული ხმები, თითქოს ბიჩერახოვის რაზმი აქეთ აპირებდეს წამოსვლას—სიმართლეს სრულიად არ შეეფერება. ეს კითხვა—დასავლეთისაკენ წასვლისა—მათში არც კი აღძრულა.

დ. შ.

# მთავრობის შექმნის საკითხი ბაქოში

შემოვიდნენ თუ არა მოკავშირეები ბაქოში, მთავრობის შექმნის საკითხი, როგორც ქალაქში, ისე მთელ ადერბეიჯანში უმთავრეს კითხვად გადაიქცა. ხელმძღვანელ წრეებში პირველ დღეებშივე ცხადი იყო ყველასათვის, რომ მოკავშირეთა წარმომადგენელნი აიღებდნენ თავიანთ ხელში ძალა-უფლებას ქალაქში მაგრამ იმავე დროს მათ არ მისცეს შემთხვევა ეფიქრნათ, თითქოს მათ განზრახვა ჰქონოდეთ გაეუქმებინათ ადგილობრივ მთავრობა ადერბეიჯანის საზღვრებში. უკანასკნელმა მდგომარეობამ გამოიწვია გაუგებრობა ზოგიერთ წრეებში, რომელთაც ეგონათ, რომ ძალა უფლების საკითხი ძირიან-ფესვიანათ შეიცვლებოდა მოკავშირეთა მოსვლისთანავე. მოკავშირეებთან ერთად ბაქოში შემოვიდნენ ბაქოს დემოკრატიულ ორგანიზაციების წევრები, რომელთაც დასტოვეს სექტემბრის დღეებში. ოთხშაბათს 20 ნოემბერს ევანგულოვის თავმჯდომარეობით შესდგა თათბირი, რომლის მიზანიც იყო გამორკვევა ბაქოს საქმეებისა, კავკასიისა და ახლობელი მიზნები დემოკრატიისა კავკასიაში. თათბირს დაესწრნენ შემდეგი პარტიების და ორგანიზაციების წარმომადგენლები: ს.-რ., ს. დ. მენშევიკები, დაშნაკელები, ბუნდი, კადეტები, კოოპერატივთა კავშირის წარმომადგენელნი, პროფესიონალურ საბჭოს წარმომადგენელნი, „ცენტროდომი" და სხვ. გადაწყვეტილი იყო მოეწვიათ აგრეთვე პარტია „გუმეტი", მაგრამ ვერ შეატყობინეს დროზე. დღის წესრიგში იყო ორი კითხვა: 1) დამოკიდებულება უფის მთავრობასთან და 2) მდგომარეობა ბაქოსი. რადგანაც ზოგიერთ ორგანიზაციების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათ დღის წესრიგში დასმული კითხვები არ გაურჩევიათ, გადასწყდა კრებას მიეცეს მხოლოდ ინფორმაციული ხასიათი. როდესაც გადავიდენ დღის წესრიგზე ერთმა თათბირის წევრთაგანმა განაცხადა, რომ მოკავშირეთა სარდლობას თან ახლავს უფის მთავრობის წარმომადგენელი პროფესორი გოლოვინი, რომელსაც შეუძლიან მისცეს კრებას უფის მთავრობაზე უფრო სწორი და დაწვრილებითი ცნობები. თათბირმა გაგზავნა ორი თავისი წევრთაგანი პროფესორ გოლოვინთან, რათა ეთხოვნათ მისთვის, რომ დასწრებოდა კრებას. სიტყვა ეძლევა, კარგათ ცნობილ თფილისის დემოკრატიულ წრეებში, მემარჯვენე ესერ მერხალიოვს, რომელიც მოახსენებს კრებას ახლად პეტროვსკში დაარსებულ კავკასიის კასპიის ზღვის მთავრობაზე. ბაქოს დაცემის შემდეგ პეტროვსკი შეიქნა ცენტრი, სადაც ბიჩერახოვის რაზმთან და „ცენტროკასპთან" ერთად იმყოფებოდენ. ბაქოს ორგანიზაციების წარმომადგენელნი. მთელი ძალა-უფლება მხოლოდ ბიჩერახოვის ხელში იყო. ასეთ უხერხულობას გრძნობდა ყველა და თვით ბიჩერახოვიც. ბაქოს და პეტროვსკის აღმასრულებელ კომიტეტების ინიციატორობით იქნა მოწვეული ყრილობა, რომელიც შესდგებოდა თერგის ყაზახ-გლეხთა მთავრობისაგან; კასპიის ზღვის მხრივ საოლქო აღმასრულებელი კომიტეტი, ბაქოს გუბერნიის სამხრეთი ნაწილი (ლენქორანი, მოღანის აღმასრულებელი კომიტეტი). პეტროვსკის აღმას. კომიტ. ბაქოს კომიტეტი, „ცენტროკასპი" და ბიჩერახოვის რაზმი. ყრილობამ თავის უმთავრეს მიზნათ დაისახა შეანარჩუნოს რუსეთის მახლობელი მხარეები და დაიცვას ისინი გარეშე მტრისაგან. საჭირო გახდა შეერთება ერთ ცენტრში სამხედრო სარდლობის და მოლაპარაკების გამართვა მოკავშირეებთან. ამ მიზნის მისაღწევათ შესდგა კავკასიის კასპიის მთავრობა შემდეგი შემადგენლობით: მთავრობის მეთაური და სამხედრო-საზღვაო მინისტრი ბიჩერახოვი. გ. მანჯაროვი (ს.-რ.)—მინისტრი სახალხო მეურნეობის და სურსათისა, ზიმინი, (ს.-რ.) გარეშე საქმეთა მინისტრი, სადოვსკი (ს.-დ.)—სახელმწიფო კონტრალიორი, (უკანასკნელი მთავრობაში არ შედის).

მთავრობის ცნობის კითხვა ყრილობა გადაიტანა ადგილობში. თერგში, კასპის ზღვის მიდამოებში ბაქოს სამხრეთ ნაწილში ეს მთავრობა იქნა ცნობილი. მის ხელში არის საკმაო ფინანსები, სურსათი და იარაღი. მთავრობა ეყრდნობა ჯარს, რომლის რიცხვი 35 ათას შეადგენს და მათ რიცხვში შედიან ლენქორანის მაზრის ჯარები და ბიჩერახოვის რაზმი. უფის მთავრობას გაუგზავნეს დელეგაცია და ამ დღეებში მოელოდებიან მისგან პასუხს. მოკავშირეთა სარდლობა, მერხალიოვის სიტყვით, იცნობს ამ მთავრობას იმ შემთხვევაში, და იგი ცნობილი იქნება უფის მთავრობის მიერ ახლანდელ ადერბეიჯანის მთავრობასთან ახალ მთავრობას არ სურს არავითარი დამოკიდებულება იქონიოს.

მიღებულია ზომები, რომ იქონიონ კავშირი საქართველო და სომხეთთან. განზრახულია ამ მოკლე ხანში მოწვეულ იქნას ყრილობა კავკასიის და კასპის ზღვის პირის ხალხთა, რომელზედაც მთავრობა გადასცემს ძალა-უფლებას ყრილობას და წინადადებას მისცემს შედგენილ იქნას ახალი მთავრობა ნაციონალურ კოალიციურ პრინციპებზე. კავკასია-კასპიის მთავრობა გამოაცხადებს თავის თავს მთავრობათ მხოლოდ უფის მთავრობის ცნობის შემდეგ. მხოლოდ მთავრობის უწყებები დაიწყებენ თავიანთ მოქმედებას ბაქოში 21 ნოემბრიდან, როგორც განაცხადა მერხალიოვმა.

შეეხო რა მდგომარეობას სხვადასხვა ანტიბოლშევიკურ ფრონტებისა, მერხალიოვი შეჩერდა სხვათა შორის ანტიბოლშევიკურ და ბოლშევიკურ ფრონტებზე. მან აღნიშნა, რომ ბოლშევიკებმა შესძლეს შექმნა საგრძნობ სამხედრო ძალისა, რომელიც შემდგარია უმთავრესად ყოფილ სამხედრო ტყვეებიდან, ჩინელებიდან და სხვ. ბოლშევიკური ჯარისკაცები იბრძვიან კარგათ და აღფრთოვანებით. ეს აიხსნება მით, რომ მათ სწამთ, რომ ებრძვიან კონტრ-რევოლიუციონურ ძალას. ზოგიერთი სამხედრო უფროსები ანტიბოლშევიკურ ბანაკიდან, როდესაც იმარჯვებენ ბოლშევიკებზე, დაუშვებელ რეპრესიებს მიმართავენ ხოლმე, მასის წინააღმდეგ, როგორც ეს იყო არმავირში, სადაც ხვრეტდენ ყველას, ვისაც ხელები დაკოჟრებული ჰქონდა. ასეთ შეუწყნარებელ ფაქტებით ადვილად და კარგათ სარგებლობენ ბოლშევიკების დემაგოგები, რათა შთააგონონ თავიანთ ჯარისკაცებს, რომ მათ წინააღმდეგ იბრძვის არა დემოკრატია, არამედ რეაქცია და კონტრ-რევოლიუცია მერხალიევი აღნიშნავს, რომ ანტიბოლშევიკურ ძალას არ აქვს აღფრთოვანება, არ არსებობს იდეა, რომელიც უნდა აერთებდეს ყველას.

მერხალიევის მოხსენების შემდეგ კრებამ მოისმინა დეკლარაცია უფის მთავრობისა და ზოგიერთი ცნობები მის შესახებ საატანის და სხვა წევრებისაგან. ეს ცნობები არაფერს ახალს არ შეიცავენ ჩვენ მკითხველებისათვის.

ერთი თათბირის წევრის გადმოცემით ბოლშევიკებმა აიძულეს უფის მთავრობა გადასულიყო უფიდან ეკატერინებურგში და ეკატერინბურგიდან ომსკში.

მოვიდა თუ არა თათბირზე პროფ. გოლოვინმა განაცხადა, რომ ის ძლიერ დაღალულია და ამის გამო ამ საღამოს არ შეუძლიან არავითარი ცნობა მიაწოდოს თათბირს. მან მისცა წინადადება, რომ კრებამ გააცნოს მას საქმის მდგომარეობა და დაჰპირდა, რომ თათბირს თავის მხრივ მისცემს მეორე დღეს საჭირო ცნობებს. თავმჯდომარის შეკითხვაზე, თუ რა [illegible] ადჭურვილი უფის მთავრობის მიერ. პროფ. გოლ[illegible] არის უფის მთავრობის რწმუნებული. რწმუნებულთა ინსტიტუტი დაარსდა უფის მთავრობასთან იმ მიზნით, რომ მათ დაეჭირათ კავშირი იმ კუთხეებთან, რომელნიც მოწყვეტილნი არიან ცენტრს. რწმუნებულთ ორგვარი მიზანი აქვთ იმის და მიუხედავათ, თუ რა განსხვავება არის ამ კუთხეების პოლიტიკურ ორგანიზაციებში. იქ სადაც არის ისეთი ოლქები, რომელნიც თავისდა უნებურათ იყვენ მოწყვეტილნი ცენტრს და იძულებულ იყვნენ გამოეცხადათ თავიანთ თავი ავტონომიურ ნაწილათ რუსეთის, და არ აქვთ სურვილი პოლიტიკური დამოუკიდებლობის. ამ შემთხვევაში რწმუნებულის მისია ადვილია და სადაა აქ რწმუნებულთა მოვალეობას შეადგენს გაიცნოს ადგილობრივი დაწესებულებები, ადევნოს თვალ-ყური რომ მათი მოქმედება შეეფარდებოდეს ოქტომბრის გადატრიალებამდე არსებულ რუსეთის კანონებს ადგილობრივ ორგანოებს რწმუნებულნი მოეპყრობიან თანაგრძნობით, თუ ამ ორგანოებს დაემჩნევათ, საქმიანობის უნარი.

(დასასრული ხვალ).

# საქართველოს პარლამენტი

26 ნოემბრის სხდომა.

(დასასრული)

შ. მაჩაბელი ამბობს, რომ ფეოდალიზმი რუსის მთავრობამ გააუქმა და თქვენ კი ამ მხრივ არაფერი დაგრჩენიათ საკეთებელიო. ორატორი ილაშქრებს აგრარული დეკრეტის წინააღმდეგ და ამბობს, რომ თქვენ მიწები ჩამოართვით არა მოქეიფე თავად-აზნაურებს, არამედ პატიოსნებს, მოქეიფეებმა თავიანთი მიწები დროზე გაჰყიდეს და სხ. მე ვემხრობი ამ კანონ-პროექტს მხოლოდ იმიტომ, რომ ქვეყანას ავაცდინოთ ის ანარქია, რომელიც თქვენმა აგრარულ რეფორმამ გამოიწვია სოფლად. თქვენ ამბობთ, რომ ანარქია მოისპო და მშვიდობიანობა დამყარდა მიწის კანონის გამოცემის შემდეგო. ანარქია, მე თუ მკითხავთ, სწორედ თქვენმა დეკრეტმა დაბადა: დეკრეტი გამოიცა 16 დეკემბერს, ხოლო პირველ მკვლელობას აზნაურისას ადგილი ჰქონდა 10 იანვარს.

ნ. ხომერიკი (მიწ. მოქ. მინ.) მოქალაქენო, პარლამენტის წევრნო! აქ შემოტანილი კანონ-პროექტი არის განვითარება და განმარტება იმ წყება კანონებისა, რომლებსაც ჩვენ ვატარებთ ცხოვრებაში, ამიტომ აქ არ უნდა იყოს და არც არის ისეთი რამ, რომელიც ეწინააღმდეგება წინა კანონ პროექტებს. ეს კანონ პროექტი არ უნდა იყოს ისეთი, რომელიც ანგარიშს არ უწევს არსებულ საზოგადოებრივ ძალთა განწყობილებას. ის გარემოება, რომ მიწები უფასოთ ჩამოართვით და აბანოები და წყაროების გამოყიდვა გვსურსო, სრულებით არ არის აქ მოსატანი, არავითარი ულოღიკობა არ არის იმაში რომ მემამულეებს მიწები უფასოდ ჩამოვართვით, მამული ჩამოერთვა ფეოდალურ ნაწილს. ჩვენ მომხრე ვიყავით ისეთი მიწების უფასოდ ჩამორთმევის, რომელიც საშუალებას აძლევდა პარაზიტულ კლასს ქეიფში გაეფლანგა მიწიდან აღებული ფულებით. რუსეთის რევოლიუციის მიზანი იყო ფეოდალიზმის მოსპობა და ჩვენ გამოვეცით ისეთი კანონი, რომელიც ამ ფეოდალურ ნაშთებს სპობდა. მამულების ჩამორთმევით ეს წოდება ჰკარგავს ყოველგვარ გავლენას. რატომ არ უნდა მივსცეთ ფასი? წოდებას, რომელიც არაფერს არ ჰქმნიდა, არამედ ფლანგავდა ხალხის ქონებას, არ შეიძლება მიეცეს სასყიდელი ფულის სახით, ჩვენ უნდა ჩავაყენოთ ისინი ისეთ მდგომარეობაში, რომ ჩვეულებრივი პატიოსანი შრომით იცხოვრონ. სწორედ ამიტომ არის, რომ ჩვენ მათ დავუტოვეთ ნორმა, ამით ჩვენ მათ საშუალებას ვაძლევთ გახდენ წევრი ჩვენი საზოგადოებისა. ამ ნორმის ფარგლებში ჩვენ მათ არაფერს ვართმევთ, და თუ რამეს ჩამოვართმევთ სასყიდელს ვაძლევთ. წარმოდგენილ კანონ-პროექტშიც ნათლად არის ნათქვამი, რომ პატრონებს საფასური მიეცემათ იმ შენობებისათვის, მოწყობილებისათვის, რომელიც მათ გაუკეთებიათ და აგრეთვე იმ მიწისათვის რომელიც ამ ხსენებულ ნორმაში შედის. ჩვენ ვადგივართ იმ შეხედულებას, რომ სოციალიზმის განხორციელების ხანა ჯერ არ დამდგარა ის დრო, როცა ყველა მიწები უნდა ჩამოერთვას და სახელმწიფოს გადაეცეს. თუ აქამდე სადაო იყო ის გარემოება, რომ სურვილზე არ შეიძლება აეგოს სოციალიზმის განხორციელება, ბოლშევიკების ექსპერიმენტების შემდეგ მაინც ნათელი უნდა იყოს ეს—ყველასათვის. მათ ყველაფერი ჩამოგვართვეს და თქვენ იცით, თუ რა მოუვა ამას. ჩვენში სოციალიზმისათვის პირობები არ არის და თუ დასავლეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 12 დეკემბერი (ძველი სტილით 29 ნოემბერი) სახალხო გვარდიის დღე

ევროპაში გაიმარჯვა სოციალისტურმა რევოლიუციამ, მაშინ ეს ჩვენც გაგვიტაცებს და მაშინ სახლებიც, ქარხნებიც უნდა ჩამოვართვათ, მაგრამ ჩამორთმევაც არის და ჩამორთმევაც. დღეს ეს ჩამორთმევა გამოიწვევს საერთო აღშფოთებას. ეს მინერალური წყლები არის არა მარტო მემამულეთა მიწებზე, არამედ გლეხების მიწებზედაც. რომ მათაც უფასოთ ჩამოვართვათ, რა იქნება მაშინ? ამის მაგალითი ჩვენ რუსეთმა გვიჩვენა, იმ რუსეთმა, სადაც კერძო საკუთრებისადმი ტენდენცია ისეთი ძლიერი არ არის, როგორც ჩვენში. მეორეთ ნორმის ფარგლებში ჩვენ გლეხებს არ ვართმევთ და სხვებს რატომ უნდა წავართვათ? კანონი ხომ ყველასათვის ერთი უნდა იყოს? ამას ყველაფერს ანგარიში გავუწიოთ და ისე უნდა მოვიქცეთ, რომ ეკონომიური ცხოვრება არ ჩამოქვეითდეს და პოლიტიკური ცხოვრებაც არ არივ დარიოს. მე მაინტერესებს მ. მაჩაბლის განცხადება, რომ ჩვენ თავად აზნაურებს არასოდეს არ ვიცავდით და არც ეხლა ვიცავთო. ბ ნო მაჩაბელო, მე მახსოვს, როცა 1912 წელს თქვენ პეტროგრადში კანცელარიებში დადიოდით და ხიზნების შესახებ მასალებს კრებდით, თქვენ მაშინ პირდაპირ იცავდით თავად აზნაურების ინტერესებს. თქვენ ამბობდით, რომ აგრარულმა კანონმა ანარქია გამოიწვიაო. არა ბ ნო, თქვენ სცდებით, პირიქით, აგრარულმა კანონმა ანარქია ჩააქრო, სწორედ აგრარული რეფორმის გაუტარებლობის ნიადაგზე იყო უმთავრესად ანარქია აღმოცენებული, ამ კანონმა ქვეყანა დაამშვიდა და იმ რამოდენიმე ათას გაქცეულ აზნაურებს საშუალება მიეცა თავის სახლში დაბრუნების და ნორმალური ცხოვრების.

აქ ამბობდნენ, რომ მიწათმოქმედების სამინისტროს ხელში არ უნდა იყოს ეს აბანოები და სამკურნალო წყლებიო უნდა იცოდენ, რომ მიწათ-მოქმედების სამინისტრო აგრეთვე სახელმწიფო ქონებითა სამინისტროცაა. მას უნდა ებაროს სახელმწიფოს ყველა ნივთიერი ქონებანი და მის მოვალეობას შეადგენს სამკურნალო წყლების და აბანოების დაცვა, როგორც ქონებისა, რაც შეეხება აბანოების სამკურნალო მხარეს ის კი სამკურნალო ფუყების გამგეობაში იქნება (ტაში).

მოხსენებელი დ. ონიაშვილი იცავს კანონპროექტს და მუხლობრივად არღვევს ყველა იმ დებულებებს და მოსაზრებებს, რომელნიც მოწინააღმდეგე ორატორებმა მოიყვანეს. პარლამენტი გადადის კანონ პროექტის მუხლობრივ განხილვაზე.

ს.-რევოლიუციონერებს შეაქვთ წინადადება 1 მუხლში იყოს ნათქვამი, რომ სამკურნალო წყლები, ტალახები, აბანოები გამოცხადდეს ხალხის ავლადიდებით (ეს შესწორება საერთო სიცილს იწვევს). შესწორება დიდი ხმის უმეტესობით უარყოფილია.

თევ. ღლონტს შეაქვს წინადადება, რომ კანონ პროექტი დაუბრუნდეს საფინანსო კომისიას. წინადადება პარლამენტმა უარყო.

იყო სხვა მცირე შესწორებებიც. კანონპროექტი მიღებულ იქნა.

## გერმანიის დელეგაციის ცნობები

### ბათუმში.

26 ნოემბრამდის ინგლისელები ბათუმში არ შესულიყვნენ.

**გერმანელი ჯარები უკრაინაში.**

გერმანიის უმაღლესი სარდლობა ნიკოლაევიდან იტყობინება, რომ გერმანულ ჯარები ისევ უკრაინაშია (მის სამხრეთ ნაწილში), სადაც სრული წესიერება სუფევს.

**გერმანელ ჯარების ევაკუაცია საქართველოდან.**

გერმანელი ჯარისკაცები საქართველოდან თანდათან მიემგზავრებიან სამშობლოში ამ ორ დღეში ფოთიდან გაემგზავრება გემი ჯარისკაცებით. 25 ნოემბერს სტამბოლიდან გერმანელ ჯარებით მივიდა ოდესაში გემი „გინჯედმანი“.

### თავრიზში.

19 ნოემბრამდის ინგლისელები არ შესულიყვნენ თავრიზში, ჯერ კიდევ იქ იმყოფება გერმანიის დელეგაცია.

**გერმანიის დელეგაცია საქართველოში.**

გერმანიის დელეგაცია საქართველოში დარჩება მცირეოდენი შტატით, ათიოდე აფიცრით და საჭირო რაზმით.

## ახალი ამბები

თფილისში ჩამოსულ ინგლისის სამხედრო მისიის წარმომადგენელმა მაიორმა მაკდონალდმა გუშინ ინახულა საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. პ. გეგეჭკორი და ხანგრძლივი საუბარი ქონდა მასთან.

◆ **ტყვეების ჩამოსვლა ავსტრია უნგრეთიდან.** თფილისში ჩამოვიდა ავსტრია უნგრეთიდან და გერმანიიდან ტყვეების მეორე ჯგუფი. ოდესამდე 2,500 კაცი ჩამოსულა; მათ შორის 1000 სომეხი ყოფილა დანარჩენი სხვა ეროვნებას ეკუთვნოდენ. იყვნენ ქართველებიც. თფილისში ჩამოვიდნენ სომხები და ქართველები რიცხვით 1000 კაცამდე.

◆ **პარლამენტის კვესტორი** მოქალაქეთა საყურადღებოთ აცხადებს, რომ კვირის საგანგებო სხდომაზე დასასწრები ბილეთები უკვე განაწილებულია და დანარჩენი ბილეთები განაწილდება შაბათს 12 საათიდან 3 სათამდე ქვესტორთან. პარლამენტის შენობაში კვირას არავის უბილეთოდ არ დაუშვებენ და არც ბილეთის მიღება იქნება შესაძლებელი.

◆ **გენერალი წულიკიძე** ატყობინებს გზათა მინისტრს, რომ სადგ. სანაინში ჯარისკაცებს არა აქვთ არც შეშა და არც თბილი საცმელი. გენერალი სთხოვს მინისტრს დაჩქარებით გამოგზავნონ შეშა და 300 კაცისათვის თბილი საცმელი.

◆ **ერობის ხმოსანთა კრება.** 2 დეკემბერს ქალაქის თვითმართველობის შენობაში შესდგება თფილისის მაზრის ერობის ხმოსანთა პირველი კრება საორგანიზაციო კითხვების გასარჩევად.

◆ **შრომის სამინისტროსთან** არსდება კომისია, რომელშიაც შევლენ სამინისტროების წარმომადგენლები, 2 წარმომადგენელი რკინის გზის მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირისა და 2 წარმომადგენელი საქართველოს რკინის გზის გამგეობისა. კომისია შეიმუშავებს კითხვას 8 საათის სამუშაო დღის რკინის გზაზე შემოღებისას.

◆ **ბაქოს ს. დ. ორგ. კრება.** კვირას, 1 დეკემბერს, დილის 10 საათზე, მეორე კოლექტივის ბინაზე, დანიშნულია კრება ბაქოს ს.-დ. ორგანიზაციის ყოფილი წევრებისა. დღის წესრიგში დასმულია კითხვა იმ ოპოზიციის დეკლარაციის შესახებ, რომელიც წაკითხულ იქნა ს.-დ. პ. ყრილობაზე, სხვათა შორის ბაქოს ორგანიზაციის სახელითაც.

◆ **სახალხო უნივერსიტეტის** ქართულ განყოფილებებში სასურველ ნიადაგზე დადგა მეცადინეობის საქმე. შესდგა ქართველ ლექტორთა კოლეგია; მეცადინეობა სწარმოებს შემუშავებულ პროგრამით, მიღებულია ზომები საქმის გასაუმჯობესებლათ. მსმენელთა რიცხვი მატულობს. ამ ჟამათ მეცადინეობს 16 ლექტორი პროგრამის მიხედვით. დღეში ყოველ საღამოს ორი ლექცია იკითხვის. განსაკუთრებით სასურველათაა მოწყობილი ნაძალადევის პირველი განყოფილება. ორთაჭალასა და ავლაბარშიც დაიწყო მეცადინეობა; ინტერესი დიდია მუშების მხრით. მოწვეულია ახალი ლექტორები: სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები შ. ნუცუბიძე, დ. უზნაძე, ყანჩაველი; ბაქოს ქართულ საბჭოს თავმჯდომარე ვლ. ბაქრაძე, მისი ამხანაგი ალ. ქორქოლიანი. დრო გამოშვებით მოხსენებები ექნებათ: ალ. ლომთათიძეს, მ. არსენიძეს და სხვ. სასურველია, რომ ღვინებულმა ნაწილმა მუშებისამ მიიღოს ზომები ჩამორჩენილი ნაწილი მიიზიდოს ლექციებზე.

◆ **მორიგი კრება** ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებისა მოხდება შაბათს, 30 ნოემბერს საღამოს 8 საათზე ვაჟთა პირველ გიმნაზიაში.

◆ **გამომცემლობა.** რედაქციამ მიიღო წიგნი „სასურსათო საქმის კრიზისები“ მოხსენება სამსონ ასათიანისა მთავრობისადმი. წიგნაკი სუფთადა გამოცემული და ღირს 1 მან.

◆ **სამგლოვიარო წერილი.** მწუხარებით ამცნოს გული ძვირფასი პარტიული ამხანაგის და ედგიური შებრძოლის გაბო მანჯგალაძის უდროოდ გარდაცვალების გამო. ის იყო პატიოსანი მუშაკი და მუდმივი დარაჯი რევოლიუციისა 1903 წლიდან. ვ. ხვიჩია.

◆ **ლექციები.** სახალხო უნივერსიტეტის ცენტრალურ განყოფილებაში დანიშნულია შემდეგი ლექციები: ბელიაევსკი—„პეტრე დიდის ხანა“, გეპშტეინის—სახელმწიფო წესწყობილება“, ტროიცკი—„შესავალი ბიოლოგიაში“, უნივერსიტეტის განყოფილებაში, მადათოვის ქუჩაზე, ლოიდისი წაიკითხავს ლექციას „ასტრონომია“, ხარაზოვი—უმაღლეს მათემატიკაზე“. დასაწყისი ლექციების საღამოს 6 საათიოან.

◆ **სახ. უნივერსიტეტი.** ოთხშაბათს, 27 ნოემბერს სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის წევრი ს. ქორქოლიანმა გამგეობის დავალებით შუამდგომლობა აღძრა განათლების მინისტრის წინაშე, რომ დაუთმონ შესაფერი შენობა ცენტრალურ სახალხო უნივერსიტეტისათვის. ქორქოლიანმა მიაქცია მინისტრის ყურადღება იმ გარემოებას, რომ სახალხო უნივერსიტეტის შენობის უქონლობის გამო ვერ შესძლებს თავის გეგმის ასრულებას. მინისტრმა თანხმობა განუცხადა სამასწავლებლო უნივერსიტეტის მე 3 4 კლასების დათმობაზე და დაპირდა მოელაპარაკოს ინსტიტუტის დირექტორ უსპაძეს.

◆ **სახალხო უნივერსიტეტის ქართველ ლექტორთა საყურადღებოთ.** დღეს, 30 ნოემბერს, საღამოს სრულ 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ცანტრალურ შენობაში (მიხაილოვის ქ. სახ. № 91) დანიშნულია ქართველ ლექტორთა და ლექტორობის მსურველთა კრება, რომელზედაც გადაუდებელ და ფრიად მნიშვნელოვანი საკითხებია გასარჩევი. ყველას დასწრება აუცილებელია დანიშნულ დროს. კრებაზე იწვევენ ორთაჭალისა და ავლაბრის განყოფილებათა წარმომადგენლებს.

— ვინაიდან სასწავლებლის ერთი ნაწილი საღამოობით დაკავებული აქვს შკოლის გარეშე დარჩენილ საზოგადოებას, თფილისის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამ მიმართა დასახელებულ საზოგადოების გამგეობას, მოაწყოს სატეხნიკო-სამეურნეო კითხვები.

**კ რ ე ბ ე ბ ი.**

დღეს, 30 ნოემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე ს. მეექვსე გიმნაზიაში (უდელის ქ. № 3) დანიშნულია ახ. მარქ. ორგ. თბილისის კომიტეტის ფინანსიურ კომისიის კრება. დასწრება წევრების სავალდებულოა.

— დღეს, საღამოს 5 საათზე მეორე რაიონის ბიუროს ბინაზე შესდგება ს. ს. დ. მ. პ. მეორე რაიონული ქალთა კოლექტივის სხდომა.

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

29 ნოემბერი.

**გერმანული პრესის ცნობა.**

27 ნოემბ. სახალხო კომისარმა ებერტმა 23 ნოემბერს, საღამოთი პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ მთავრობა ამ ჟამათ, ისე, როგორც წინათ, ხელმძღვანელობს 12 ნოემბრის დეკლარაციაში აღნიშნულ პროგრამით, რომელშიაც გამოთქმულია აზრი საკონსტიტუციო ყრილობის მოწვევის საჭიროების შესახებ. ებერტმა მიუთითა იმაზე, რომ მთელი გერმანიის და დაპყრობილი ოლქების მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების და აგრეთვე ტრედ-უნიონების და პარტიულ ორგანიზაციების მიერ მოწყობილი მრავალრიცხოვანი დემონსტრაციები წინააღმდეგია დიქტატორობის და მოითხოვენ ეროვნულ ყრილობის მოწვევას. მთავრობამ უკვე მიიღო ზომები ეროვნულ ყრილობის მოსაწვევათ. მთავრობა სულ მოკლე ხანში განიხილავს შინაგან საქმეთა დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ წინადადებას ხმის მიცემის შესახებ. უეჭველია, უნდა დამყარდეს მცხოვრებთა შორის ერთგვარი სიწყნარე ეხლა, როდესაც ყველა ფრონტებიდან ჯერ ისევ მოდის ჯარი და სამხედრო-სამრეწველოებიდან. კერძო ქარხნებში გადასვლას მუშები განაგრძობენ. ებერტმა აღნიშნა: მთავრობას სწამს, რომ ეროვნული ყრილობა, რაც შეიძლება მალე, უნდა იქნეს მოწვეული, რათა შეიმუშავდეს სოციალისტურ რესპუბლიკის საკონსტიტუციო საფუძველი და დაუმატა, რომ ეს საკითხი მისი პარტიის ძირითადი დებულებას, რომელსაც დაიცავს იგი ყოველგვარ პირობებში. ის ღრმადაა დარწმუნებული, რომ საკანონმდებლო დაწესებულება გერმანიის არსებობისათვის აუცილებელია.

ცენტრალურ პარტიის ხელმძღვანელებმა მოწოდებით მიმართა ყველა თანამოაზრეს, მიიღონ ზომები საბოლოვო ზავის დასაჩქარებლათ, რომელიც უნდა იქნეს დამყარებული ვილსონის 14 პუნქტზე. მომავალმა ზავმა შიმშილის ბლოკადა უნდა გააუქმოს, საშუალება მოგვცეს ავაღორძინოთ გერმანიის ხალხის ახალ სახელმწიფოს ეკონომიური მდგომარეობა, დავიბრუნოთ ტყვეები და გავაქრობოთ იმ უთვალავ დაჭრილთ, რომლებიც ომმა მოგვცა.

„გერმანიის საერთო გაზეთის“ წარმომადგენელს საუბარი ჰქონდა სტატს-სეკრეტარ ერცბერგთან გერმანიაში მყოფ მტრის სამხედრო ტყვეების მდგომარეობის შესახებ და კითხვაზე, ჰქონდა თუ არა ადგილი სამხედრო ტყვეების მიმართ მკაცრ მოქცევას, ერცბერგმა სთქვა: „მე არ მსურს უარვყო რომ ექსცესებს და სიმკაცრეს ჰქონდა ადგილი. მე ვეუბნები მოწინააღმდეგეებს, რომ არც ერთს სახელმწიფოს არ გაუკეთებია იმდენი სამხედრო ტყვების მატერიალურათ და კულტურულათ განვითარებისთვის, რამდენიც გერმანიის ხალხმა. ვისაც ეს არ სჯერა, დაგვიმტკიცოს წინააღმდეგი. გერმანიის ხალხს არა თუ ეცლოდებოდა ტყვეები, ხშირათ ძმური განწყობილება ჰქონდა მათთან. სამხედრო ტყვეებს ნება ჰქონდათ თავისუფლათ ევლოთ ქალაქში და სოფელში. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ისინი ვინმეს გაელანძღა ან მათთვის შეურაცყოფა მიეყენებია ხალხის უმრავლესობა თანაგრძნობით ეპყრობოდა მათ და ეცლოდებოდა კიდეც, რადგან ისინი შორს იყვნენ თავიანთ სამშობლოდან მე ვიცი ის ერთი წიგნი, რომელიც ინგლისის მთავრობამ გამოაქვეყნა ამ ჟამად, მაგრამ არ ვიცი, იკისრებს თუ არა ინგლისის მთავრობა ამ წიგნის შინაარსის სრულ პასუხისმგებლობას. თუ მან გადასწყვიტა იკისროს პასუხისმგებლობა, ამ მოვლენას მე გულწრფელად მივეგებები. ახალმა საერთო მთავრობამ ჩემი ინიციატივით გადასწყვიტა გუშინ, რომ სამხედრო ტყვეებს, პირადობის და მდგომარეობის განურჩევლად, ყველა მოვალეა მოეპყრას ისე, როგორც ამას მოითხოვს საერთაშორისო უფლება. თუ ინგლისის მთავრობა დაამტკიცებს მას, რომ ინგლისის სამხედრო ტყვეებს გერმანიაში ეპყრობოდნენ ისე, რომ ის ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო კანონებს, იმ შემთხვევაში მე პატიოსან სიტყვას გაძლევთ, რომ არც ერთი დამნაშავე არ ასცდება სასჯელს“. დასასრულ ერცბერგმა სთქვა: „საყვედური, რომელიც ჩვენ გამოგვიცხადეს, უსაფუძვლოა. ექსცესებს არ უარვყოფ, მაგრამ მე დიდი სურვილი მაქვს, როგორც გერმანელს და როგორც ადამიანს განთავისუფლებულ იქნან ჩვენი სამხედრო ტყვეები პლერიმინალურ ზავის საშუალებით, რომელიც დაუყონებლივ უნდა ჩამოვარდეს.

ქ. სპაში გერმანიის კომიტეტის თავმჯდომარემ გენერალ ფონ-ვინტერფელდმა დროებითი ზავის მკაცრი პირობების ცხოვრებაში განხორციელების გამო ხელახლა განაცხადა პროტესტი, რომლის მიღების დროსაც საფრანგეთის წარმომადგენელმა სთქვა: „არავითარ პასუხს არ მიიღებთ“.

გერმანიის მუშათა და ჯარის სულიერ განწყობილების დამახასიათებელია 24 ნოემბრის საყოველთაო არჩევნების შედეგი დრეზდენში, სადაც მუშებს წინათაც რადიკალური პოზიცია ეჭირათ. არჩევნების შედეგების თანახმათ უმრავლესობის სოც.-დემოკრატიულმა პარტიამ მიიღო 88473 ხმა დამოუკიდებელ სოციალ დემოკრატებმა კი მხოლოდ 5500 ხმა. ამის გამო შეიძლება ითქვას, რომ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოში უმრავლესობის სოციალ-დემოკრატიული პარტია მიიღებს 47 ადგილს, ხოლო დამოუკიდებელნი 8 ადგილს.

პრუსის მეცნიერების ხელოვნების და განათლების მინისტრი დაბეჯითებით სთხოვს ცენტრალურ მთავრობას, რომ მოწვეულ იქნას საშკოლო კონფერენცია მცხოვრებთა წარმომადგენლებისა და ექსპერტებისაგან შემდგარ კონფერენციამ უნდა იზრუნოს გერმანიის საზოგადოებრივ შკოლის ძირიანათ განახლებაზე და შეიმუშავოს აღზრდის სისტემა. ამავე დროს განკარგულება გაიცა გაიხსნას ქალთა უმაღლესი სასწავლებელი იქ, სადაც ქალთათვის შესაფერი ინსტიტუტი არ არის.

ზემო სილეზიაში მომხდარი საერთო გაფიცვა თითქმის ყველა ნახშირის მადნებს მოედო.

„ბერლინერ ლოკოლან ანცაიგერი“-ს ცნობით აზრათა აქვთ მოიწვიონ ეროვნული ყრილობა ფრანკფურტში იმ შემთხვევაში თუ ბერლინში ამის შესაფერი პირობები არ იქნა.

25 ნოემბერს დილის 10 საათზე, გერმანიის ყველა თავისუფალ სახელმწიფოების წარმომადგენლებს კანცლერის სახლში რევოლიუციის შემდეგ პირველი ეროვნული კონფერენცია ჰქონდათ. სახალხო კომისარი ებერტი მოქმედებდა როგორც მოთავე. მოლაპარაკების გახსნისას ებერტმა აღნიშნა ეკონომიური მდგომარეობის უნუგეშობა. რეფორმების და წესიერების განხორციელება შეიძლება მხოლოდ ყველა ფედერატიულ სახელმწიფოების უახლოეს თანამშრომლობით. ამ ჟამათ ყველა ძალა სახელმწიფოში ყოველი მუშა და ჯარისკაცი უნდა სცდილობდეს მთელი ენერგია ეკონომიური ცხოვრების აღორძინებას მოახმაროს, რადგან თავისუფლება, მოკლებული პურსა და სამუშაოს წარმოუდგენელი და უნიშნოა.

გერმანიის მთავრობის და ფედერატიულ შტატების ურთიერთ დამოკიდებულება და ს[…]თო მუშების მოწესრიგება უნდა ? ან[…] რომელი[…]ან და აქვს სა[…] ლისა […] რიუმი […] ების […] [illegible]

ლი ფე[…]ულ ყრილობას, […]ადაწყვეტილი ლაია. […]რველ ყოვ[…] […]პროვიზო[…] […]ლმწიფო[…] […]სხდომა[…]ზე უნდა იქნეს განხილული ყოფილ მოწინააღმდეგეებთან დამოკიდებულების შესახებ. წარმოთქმულ სიტყვაში საგარეო საქმეთა სტატს-სეკრეტარმა დ-რ სოლფმა აღნიშნა, რომ გერმანიის მდგომარეობა კრიტიკულია და ამის მიზეზია: როგორც მოწინააღმდეგეს სურვილი გაგვანადგუროს ჩვენ, ისე სახელმწიფოს შიგნით არსებული სეპარატ-ული მისწრაფებანი. დ-რ სოლფი თავის იმედებს ამყარებს დღევანდელ ეროვნულ კონფერენციაზე, რომელმაც ცენტრალურ მთავრობას უნდა გადასცეს საგარეო საქმეთა წარმოება და მალე მოიწვიოს ეროვნული ყრილობა. სტატს-სეკრეტარმა ერცბერგმა მოხსენება გააკეთა დროებითი ზავის მოლაპარაკების შესახებ. და ამის შემდეგ ორივე საკითხი ერთათ იქნა განხილული. ყველა წარმომადგენლის სიტყვაში გამოთქმული იყო სურვილი, აღდგენილი იქნეს გერმანიის ერი ფედერატიულ შტატების პრინციპის საფუძველზე.

## რუსეთის ცხოვრება

**პოლიტიკური ცვლილებანი უკრაინაში.**

მოკავშირეთა დიპლომატების თათბირის გადაწყვეტილების შემდეგ, უკრაინის გეტმანმა 13—14 ნოემბერს გამოუშვა ღრამოტა უკრაინელების მიმართ, რომელშიაც აღნიშნულია, რომ უკრაინის წინაშე ახალი სახელმწიფოებრივი მიზნები ისახება. ეს მიზანი მდგომარეობს მთლიან რუსეთის აღდგენაში, წინანდელ ძლევა მოსილებით, გაერთიანება ყველა დაქსაქსულ ნაწილების ფედერატიულ კავშირით. ღრამოტაში ნათქვამია, რომ ეს მიზნები ეთანხმებიან მოკავშირეთა სურვილებს. უკრაინა რასაკვირველია დაიჭერს ერთ პირველ ადგილთაგანს რუსეთის ფედერატიულ სახელმწიფოშიო. ღრამოტა ოავდება ხალხისადმი მოწოდებით, რათა ისინი შემოკრბენ პატრიოტულ საქმის გარშემო, რუსეთის დასაცავათ, რომლის ბედზე და მომავალზედაც დამყარებულია ბედი უკრაინისაო.

ამავე ღრამოტაში აუწყებენ მცხოვრებთ, რომ გეტმანი ადგენს ახალ მთავრობას.—მართლადაც ყველა მინისტრები გეტმანის ბრძანების მიერ გადადგნენ და შედგენილ იქნა ახალი კაბინეტი. ახალ კაბინეტის თავმჯდომარეთ არის გერბელი, შინაგან საქმეთა მინისტრათ ისევ კისტიაკოვსკი. ახალ სამინისტრომ გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ მათი მიზანია „სამშობლოს აღდგენა“. ამ რუსოფილურ კაბინეტს სურს ხელი შეუწყოს მთლიან რუსეთის აღდგენას ფედერატიულ პრინციპებზე. დეკლარაციაში ნათქვამია, რომ საჭიროა დამყარებულ იქნას სამოქალაქო წესრიგი, მოწვეულ იქნას დამფუძნებელი სეიმი, გატარებული იქნას აგრარული რეფორმა და გაუქმდეს პურის მონოპოლია.

კიევში შესდგა ეგრეთ წოდებული „ნაციონალური ცენტრი“, რომელშიაც შედიან სახელმწიფო სათათბიროს და სახელმწიფო საბჭოს წარმომადგენლები, „პროტოფისი“ (ორგანიზაცია ვაჭრების და მრეწველებისა), ძველი ერობათა წარმომადგენლები და სხვ. ამ „ნაციონალურმა ცენტრმა“ გამოიტანა თავის კრებაზე მკაცრი რეზოლიუცია, სადაც ნათქვამია, რომ უკრაინის ხალს არასოდეს არ განუზრახავს რუსეთიდან გამოყოფა, ეს ყველაფერი მოხდა რუსეთის მოღალატეთა ჯგუფის მიერ, რომელნიც მოქმედობდნენ გერმანელების ფულით და მათივე ხიშტების დახმარებით. უკრაინა ყოველთვის იყო გაუყოფელი ნაწილი მთლიან რუსეთის და სურს ასევე დარჩეს. ნაციონალური საბჭო სთხოვს მოკავშირეებს და აგრეთვე მოხალისეთა ჯარის წარმომადგენლებს, რაც შეიძლება დაჩქარებით გაიგზავნოს უკრაინაში რაზმები წესრიგის აღსადგენათ.

**ყ ი რ ი მ ი.**

ყირიმში მოხდა ყრილობა, რომელზედაც გამოტანილ იქნა რეზოლიუცია გენერალ სულკევიჩისთვის სასურველი, რომელიც დამოუკიდებელ ყირიმის მეთაურათ იყო. იასის თათბირის შემდეგ, სულკევიჩმა გამოსცა დეკრეტი, სადაც ნათქვამია, რომ იგი გადადგა თავის თანამდებობიდან და ამგვარათ ყირიმი შეიქნა ერთი ნაწილთაგანი, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს რუსეთის მთლიან ფრონტის აღდგენას.

## თეატრი და ხელოვნება

**სახალხო სახლი.** 28 ნოემბერს ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველ წრის მიერ წარმოდგენილ იქნა ვ. ირეთელის პიესა „სოფლის გმირები“. ეს პიესა გადმოკეთებულია ეგ. ნინოშვილის მოთხრობიდან „ჩვენი ქვეყნის რაინდი“ საზოგადოთ ძნელია ბელეტრისტული ნაწარმოების გადმოკეთება პიესათ, ადვილათ ხდება იმ შემთხვევაში ავტორის მიერ გამოყვანილი ტიპების და მოთხრობის შინაარსის დამახინჯება. ამ შემთხვევაშიაც ასე მოხდა, ნინოშვილის მოთხრობის მხოლოდ ჩონჩხი არის დატოვებული. უკეთესი იქნებოდა ირეთელს ახალი პიესა დაეწერა, თორემ მისი გადმოკეთებული პიესა არც მას და არც ნინოშვილის სახელს არაფერს მატებს. დრამატიულ ნაწარმოებში, უპირველეს ყოვლისა საჭიროა მოქმედება, რაიც ნაკლებათაა ამ პიესაში სპირიდონ მცირიშვილის ტიპს ამ პიესით ვეცნობით არა მისი მოქმედებით, არამედ დაუსრულებელ დიალოგებიდან ვტყობილობთ, რომ სპირიდონი ხალხის შვილია და სურს მთელი თავის არსებით ემსახუროს მას. პიესაში არიან გამოყვანილი ზოგიერთი ცოცხალი ტიპები, როგორც მაგ. ზურაბ ფინთიხაძე, მედუქნე და სხვ ავტორის ენა სადი და ლამაზია, რასაც სამწუხაროთ ზოგიერთი სცენის მოყვარენი ამახინჯებდენ. რაც შეეხება თამაშს აღსანიშნავია შეგნებული და გვარიანი თამაში მეტრეველის (სპირიდონი) მხოლოდ პირველ მოქმედების დასაწყისში ძლიერ მოისუსტებდა გაზვიადებულ როლს ისე ამბობდა, თითქოს სადღაც მიეჩქარებაო. არა უჭირდა რა ანკარას (ანიკოს). კარგი იყო მესამე მოქმედებაში. კარგი იყო აგრეთვე ზურაბ ფინთიხაძის როლში ი. რომანიშვილი. უფერული იყო ტარიელ მკლავაძეს როლში საალაკვაძე, არც ტანადობით, არც როლის შეგნებით და განსახიერებით არ წააგავდა ავტორის მიერ გამოყვანილ ტიპს. საჭიროა რეპერტუარის განახლება, ხალხს ერთი და იგივე პიესები მოსწყინდა. ა. მ.

P. S. წინა რეცენზიაში შეცდომით იყო დაბეჭდილი ფრაზა: „კარგი იყო პერტის როლში—უნდა ყოფილიყო „სუსტი იყო პერტის როლში“. ა. მ.

## მუშათა შორის

**მთავარ სახაზინო.** 24 ნოემბერს, მთავარ სახაზინოს შენობაში, შესდგა კრება სახაზინოს მოსამსახურეთა. დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: კოლექტივის მოქმედების ანგარიში; ყველა სახაზინოების მოსამსახურეთა წარმომადგენელთაგან თფილისში შექმნა პროფესიონალური ცენტრალური კოლექტივისა; მოსამსახურეთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება; კოოპერატივის დაარსება, დამოკიდებულება სახაზინოს დეპ. ორგანიზაციის სახელმწიფო დაწესებულების მოსამსახურეთა კავშირთან. პირველ საკითხის მოხსენების შემდეგ, კრებამ იქონია მსჯელობა ძველი კოლექტივის მოქმედებაზე, მადლობა გამოუცხადა მას და გადავიდა მორიგ საკითხზე. მეორე საკითხის შესახებ დადგენილ იქნა: დაარსდეს თფილისში პროფესიონალური ცენტრალური კომიტეტი ყველა სახაზინოების წარმომადგენელთაგან; ახალ კოლექტივს მიენდოს გამოიმუშაოს წესრიგი სახაზინოს მოსამსახურეთა საერთო კრების მოწვევისა ცენტრალური კომიტეტის დასაარსებლათ. მესამე საკითხის გარკვევა და მოგვარება მიენდო ახალ კოლექტივს და მეოთხე საკითხი კი მოიხსნა დღის წესრიგიდან. 25 ნოემბერს, გაგრძელებულ კრებაზე მოხდა ფარული კენჭის ყრით კოლექტივის არჩევა. არჩეულ იქნა ხუთი წევრი და ორი მათი მოადგილე. ს. დ. მოსამსახურეებმა ამის შესახებ იქონიეს მსჯელობა და დაადგინეს: აქაურ წევრთაგან შესდგეს წრე („იაჩეიკა“), რომელიც მიწერილ იქნება მეორე რაიონზე და მისი ხელმძღვანელობით იმუშავებს.

ს. ხნიკიშვილი.

## ს.-დემ. პარტიაში

**ბორჯომი.** გასულ თვეს მოხდა ბორჯომის რაიონის ს. დ. მ. პარტიის კომიტეტის კრება. დღიურ წესრიგში იყო: 1) მოხსენება ცენტრის ყრილობიდან; 2) მოხსენება საკანტროლო კომისიისა; 3) ძველი ბეჭედი. შტაბის მოქმედების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ანდღულაძე. კრებამ მოისმინა რა საკანტროლო კომისიის მოხსენება ბორჯომის რაიონის შტაბის მოქმედების შესახებ, ადგენს: 1) ვღებულობთ რა მხედველობაში, რომ შტაბის მოქმედება მიმდინარეობდა განსაკუთრებულ მძიმე პირობებში (მხედველობაში გვაქვს ახყურის ფრონტი და იმის მიერ შექმნილი არევ-დარევა); 2) რომ შტაბს არ ჰქონდა სახელმძღვანელო ინსტრუქცია, ბუჰჰალტერიის მოთხოვნილების ვერ აკმაყოფილებდა, აგრე კი ხდებოდა არა მარტო ბორჯომის შტაბში, არამედ ყველგან; 3) ვღებულობთ რა მხედველობაში, რომ შტაბის შემადგენლობა [illegible]ტის მეტი მცირერიცხოვანი იყო,

ის ამხანაგები, რომლებიც შტაბში იყვნენ ბევრ სხვა საპასუხისმგებლო საქმეებში იყვნენ ჩაბმულნი და ფიზიკურად ყოვლად შეუძლებელი იყო ყველა საქმის შესრულება, ვსცნობთ რომ შტაბის საქმეში ბოროტება არ არის, როგორც იგივე მოხსენება დაასკვნის, ამის გასამართლებელი საბუთები აქვს. კომიტეტი აუცილებლათ საჭიროთ სცნობს დაჩქარებით ჩაიბაროს ახალმა შტაბის შემადგენლობამ ყოველივე ქონება და ფული, და აწარმოვოს საქმეები, როგორც მოითხოვს წესი. საკონტროლო კომისიიდან გამოირკვა, რომ ყოველივე ანგარიშები და საბუთები ძველი კომიტეტისა ნათლად გვიჩვენებს, რომ საქმის წარმოება ანგარიშების მხრით კარგათ და სწორათ ყოფილა მოწყობილი და არავითარ ბოროტმოქმედებას ადგილი არა ჰქონია. სამაზრო ყრილობაზე შემუშავებულ რეზოლიუციების მოხსენებას აკეთებს ამხ. მ. ახალაძე, კომიტეტი მთლიანათ ღებულობს ყრილობაზე შემუშავებულ რეზოლიუციებს. ძველი ბეჭდის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ელისაშვილი, მან განაცხადა, რომ რკინის გზის ოუპოს მუშებს ჰქონიათ ძველი ორგანიზაციის ბეჭედი და დარჩენილი ფული. ამაზე კომიტეტმა დანიშნა გამოსაძიებლათ კომისიის სახით ამხ. კ. შახნაზაროვი. მიეცეს წინადადება ყველა კომიტეტის წევრებს თავის დროზე დაესწრონ კრებებს.

დ. დინჯაძე.

აკეთის რაიონი. კვირას, 17 ნოემბერს, აკეთის უმაღლეს დაწყებით სასწავლებლის დარბაზში გაიხსნა აკეთის რაიონის ს. დ. პარტიის წევრთა ყრილობა. კრების გახსნისას თავმჯდომარე აღნიშნავს ზოგიერთ ამხანაგების გულგრილობას და მოუწოდებს მათ უფრო ენერგიულ მუშაობისაკენ. შემოდის წინადადება: ის ამხანაგები, რომლებიც კრებას არ დასწრებიან, თუ საპატიო მიზეზს არ წარმოადგენენ პარტიიდან გაძევებულ იქნენ. კრება წინადადებას ერთხმათ ღებულობს. ხელმძღვანელი კოლექტივი უდგენს კრებას განსახილველათ შემდეგ დღიურ წესრიგს: 1) მოხსენება გურიის ცენტრალური კომიტეტიდან, 2) მომენტის დაფასება. 3) მოხსენება კოლექტივის პრეზიდიუმის, კოლექტივის მუშაობის შესახებ. 4) სახალხო გვარდია. 5) მიმდინარე კითხვები. გურიის ცენტრალურ კომიტეტიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. ივლ. პანტურიშვილი. მოხსენებას ის ჰყოფს შემდეგ მუხლებათ: მოხსენება კომიტ. პრეზიდიუმისა და მოხსენება საოლქო კომიტეტის წევრისა. ენა და სახელწოდება პარტიის, სახალხო გვარდია და ჯარი, დამფუძნებელი კრების კანდიდატები, აგრარული საკითხი, შინაური და გარეშე პოლიტიკა ჩვენი ხელმძღვანელების. მოხსენების მუხლობრივ დაყოფის შემდეგ იძლევა ვრცელ განმარტებას ყველა კითხვებზე საერთოდ და კერძოთ აგრარულ საკითხს და მთავრობის გარეშე და შინაურ პოლიტიკაზე. მოხსენებას კრება ერთხმად იწონებს და გადადის მორიგ საკითხზე. მომენტზე მოხსენებას აკეთებს ვ. მახარაძე. რომლის დასასრულს კრება ღებულობს შემდეგ რეზოლიუციას: მოისმინა რა მოხსენება მომენტზე, კრება აღფრთოვანებული მით, რომ რევოლიუციონური მოძრაობა თან და თან ძლიერდება გერმანიაში და სხვა სახელმწიფოებში, ძლიერდება და მაგრდება ის საქართველოშიც, იმედს გამოსთქვამს, რომ ხელმძღვანელი ამხანაგები, როგორც დღემდე ისე შემდეგშიაც, შეგნებულ დემოკრატიასთან ერთად ებრძვიან ყოველ გვარ კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლებს და მიიყვანენ საქართველოს რევოლიუციონურ დემოკრატიას სრულ გამარჯვებამდე. კოლექტივის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს პრეზიდიუმის მდივანი ამხ. ზაქ. წულაძე. ის საერთოდ ახასიათებს კოლექტივის მოქმედებას, როგორც პარტიულ ისე ადმინისტრატიული აპარატის მოწყობაში. კოლექტივის პოლიტიკური და წმინდა პარტიული მუშაობა გამოიხატებოდა შემდეგში: მიღებულ იქნა ზომები პარტიის წევრთა ჩამოყალიბების შესახებ. მოწყობილ იქმნა გარდა ერთი პატარა უბნისა, ყველა სოფლებში პარტიული „იაჩეიკები“. სრული ხელმძღვანელობა „იაჩეიკებისა“ დაეკისრა კოლექტ. წევრებს. ზედა აკეთში მომხდარი უთანხმოების გამო, იგზავნებოდნენ ამხანაგები პარტიულ კრებაზე და ცდილობდენ უთანხმოების ჩაქრობას. ადმინისტრაციის მოუწესრიგებლობა და ამ [illegible] კოლექტივის ჩარევა უნდა შეეწყოს კომისარის სისუსტეს: მკვლელობის წინააღმდეგ ზომების მიღება, სოფლების გაერთიანება. ეპიდემიის წინააღმდეგ ზომების მიღება, საფერშლო პუნქტის [illegible] და სხვ. ეს კომისარის მოვალეობაა, მაგრამ კოლექტივს უხდებოდა ამ საქმეების მოწესრიგება, რაც ხელს უშლიდა მის დადებით მუშაობას. მოხსენებას და კოლექტივის მუშაობაზე კრება იწონებს და გადადის მორიგ საკითხზე. სახალხო გვარდიის აუცილებლობას მანამ, სანამ ანარქია სრულიად ჩაქრებოდეს და რეგულიარული ჯარი მოწესრიგდებოდეს, კრება ერთხმათ აღიარებს და ადგენს: თვითეული ფიზიკურად ჯანმთელი წევრი უნდა იყოს სახალ. გვარდიის წევრიც. გვარდიაში მიღებულ უნდა იქნან პარტიას გარეთ მყოფი საიმედო ამხანაგებიც. გვარდიელთა ყრილობაზე ქ. ოზურგეთში დასასწრებლად კრება ირჩევს რაიონულ შტაბის წევრს ექვთ. ვადაჭკორიას.

გოლა.

# პროვინცია

ხაშური. ხაშურის გიმნაზიის მოწაფეთა ერთ ჯგუფს დაებადა აზრი დრამატიულ წრის დაარსებისა. ამ ჯგუფმა თხოვნით მიმართა გიმნაზიის გამგეს, რათა მას ნება დაერთოს ზემოხსენებული წრის დაარსებისა. ბ. გამგემ მოიწონა ეს აზრი მოწაფეებისა და არამც თუ მან მარტო ნება დართო, არამედ ის დაჰპირდა ამ წრის დაარსების ხელის შეწყობას, მხოლოდ მან გააფრთხილა მოწაფეები, რომ მათ სამეცადინო დრო არ დაჰკარგონ და რაც შეიძლება საღამოები მართონ იმ განსაკუთრებულ დღეებში, რომელიც ხელს არ შეუშლის მათ მეცადინეობას. ასეთი პასუხის შემდეგ მოწაფეთა ჯგუფმა ხუთშაბათს, 14 ნოემბერს, მოიწვია სცენის მოყვარე მოწაფეთა კრება. ეს კრება, რადგან უმრავლესობა დაესწრო, გამოცხადებულ იქნა დამფუძნებელ კრებად. წევრები ქალთა და ვაჟთა გიმნაზიელებისაგან შესდგება. ამ კრებაზე იქნა არჩეული დრამატიული წრის გამგეობა: თავმჯდომარე ნ. ტაბატაძე, მის ამხანაგათ ნ. სუხიაშვილი, მდივნათ ა. ბარამიძე, ხაზინადრად ქეთო ებანოიძე, წევრებათ სოსო მამაცაშვილი, ნ. კვირიკაშვილი, ოლია მურვანიძე და ლ. პანკოტაძე. ამათ კანდიდატებათ ლ. მესხი და ს. მდივანი. გამგეობის პირველი კრება მოხდა იმავე დღეს, 14 ნოემბერს, რომელზედაც იქნა შემუშავებული რეპერტუარი. ამ ზემოხსენებულ წრეს მიზნათ აქვს დასახული მატერიალური დახმარება აღმოუჩინოს ღარიბ მოწაფეებს და მით მისცეს მათ საშუალება სწავლის გაგრძელებისა ამ ძლაპრულ სიძვირის ხანაში. ყველა მასწავლებელი და მოწაფე მოვალეა ყოველივე მხრივ დახმარება აღმოუჩინოს ამ წრეს ენერგიული მუშაობით.

ნ. ტ.

ყარაიაზი. ადგილობრივი კომისარის შტაბს-კაპიტან პაიჭაძის განკარგულებით მოხდა კომისიის კრება ნიხრის შესახებ, რომელმაც დაადგინა, ზომიერი ფასები დროების მიხედვით. აქ სდგას პირველი როტა გუბერნიის ბატალიონისა, რომელიც ყოველ დღე ართმევს აქაურ მცხოვრებ თათრებს ცხვრებს და ფულებსაც არ იხდიან. ეს უსიამოვნებას გამოიწვევს და საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ არს. ხაჩივარი ყოველდღე მოსდის ამის შესახებ კომისარ პაიჭაძეს, რომელიც პირდება მათ დაკმაყოფილებას. პაიჭაძემ მისცა წინადადება როტის უფროსს და მან უპასუხა, რომ ასეთი ბრძანება გვაქვსო. კომისარმა შეატყობინა მაზრის კომისარს, რათა მიიღონ ზომები ამ ყაჩაღურ მოქმედების წინააღმდეგ. ახალ კომისარს ძლიერ ემადლიერებიან ადგილობრივი თათრები.

ტონია.

ს. ზინობიანი (გურია). ეს კუთხე უმწეო მდგომარეობაშია ჩავარდნილი უექიმობის გამო. ავადმყოფები უმეტეს შემთხვევაში ღვთის ანაბარათ არიან მიტოვებული. თუ კი გამოჩნდა ექიმი, ხომ შენი სარჩო-საბადებელი უნდა მისცეთ, თორემ ისე ძალიან ნაკლებ შეიწუხებს თავს. ამ სოფელში ასეთ შემთხვევას უკვე ჰქონდა ალაგი.

ი. თავბერიძე.

ჭრებალო. (ლეჩხუმის მაზრა). ახლო მახლო მთებზე უკვე ჩამოსთოვა. „ისპანკამ“ ეპიდემიური ხასიათი მიიღო. მსხვერპლი ბევრია. ექიმობის მხრივ ძალიან გასაჭირია. ხშირად შეხვდებით ოჯახებს, რომ რაღაცას ულოცავენ ცხვირის წინ, „ბატონები“ არიანო. ხალხი ძლიერ გაცრუებულია ძველი ადათებით, ვერავითარი მოვლენა მათზე ვერ მოქმედობს, რომ თავი დააღწიონ ძველ ზნე-ჩვეულებებს. მიუხედავათ ამისა, რომ ხალხი ნადგურდება მსხვერპლით, მიცვალებულებს ასვენებენ ძველი ჩვეულებით „ტირილით“, რომლითაც ნადგურდება ოჯახები. ამ მოკლე ხანში დაბა ჭრებალოში გარდაიცვალა მეორე კლასის მოწაფე ქალი ლ. ლეკიშვილი.

დაადგინეს, რომ ეს მიცვალებული გაესვენებინათ მოქალაქური წესით, რომელიც შესრულდა. მისმა მშობლებმა ასი მანეთი შესწირეს კულტურულ დაწესებულებებს; მისმა ძმამ ოცი მანეთი, რომელიც განაწილდა შემდეგ ნაირად: გაზეთ „სოციალ-დემოკრატს“ 25 მანეთი; „მეგობარს“ 25 მანეთი, „ერთობას“ 25 მანეთი; ჭრებალოს უფასო სამკითხველოს 45 მანეთი.

ილიკო ლეკიშვილი.

ს. ყარძია. (შორაპნის მაზრა) თითქმის ათ წელზე მეტია, რაც ამ სოფელში არსებობს ერთ კლასიანი სამრევლო სკოლა. ეს სკოლა უპატრონოთ არის დატოვებული, სახურავი დასძველებია, შენობა ლპება და ინგრევა. აქაური მცხოვრებნი ამ საქმეს ძალიან გულ გრილად უყურებენ. მათ ვერ შეუგნიათ, რომ ეს შენობა მათსავე საკუთრებას შეადგენს და აუცილებლათ საჭიროა მისი დაუყოვნებლივ შეკეთება და მასწავლებლის მოთხოვნა, რომელიც წრეულს სულაც არ დაუნიშნავთ. სხვა სოფლებში ამნაირი სკოლები ორ კლასიანებათაც კეთდებიან, და აქ კი ერთ კლასიანიც სამუდამოთ ეთხოვება თავის არსებობას. ამ ზაფხულში აქ გამართა საღამო, რის შემოსავლითაც უნდოდათ დაეარსებინათ სამკითხველო. შემოსავალი ინახება ადგილობრივ კოოპერატივ „თავისუფლება“-ში, დაპირებულ სამკითხველოს დასაარსებლათ. საჭიროა, ეს ფულები მოხმარდეს აღნიშნულ სასწავლებლებს და სამკითხველოს დაარსებას შესახებ ზრუნვა [illegible] გადიდეს.

შალვა ბუბულაშვილი.

ს. რგანი (შორაპნის მაზრა). იმ შიმშილობის გადატანის შემდეგ, რომელიც ხალხმა განიცადა სურსათის უქონლობის გამო, ძლიერ დაასუსტა ხალხი ფიზიკურათ და ყოველივე ავადმყოფობა და ამასთანავე სამედიცინო დახმარების უქონლობა, ცუდ მდგომარეობაში აყენებს ხალხს და შეიძლება ითქვას, თუ მთლად არა ნახევრათ მაინც ანადგურებს ფიზიკურათ ისედაც წელში გატეხილ დემოკრატიას. უკვე ეს ორი კვირაა აქ გაჩნდა, რაღაც ავადმყოფობა, რომელსაც ეძახიან „ისპანკა“-ს, რომელმაც უკვე მიიღო ეპიდემიური ხასიათი და ყველა ოჯახები მოგაგონებს საავადმყოფოებს. ხალხი დიდ საგონებელშია და შველას კი არსაიდან მოელის. ამ სოფელს ემიჯნება ქ. ჭიათურა, სადაც ორი ექიმი და რამოდენიმე ფერშალია. ექიმის ამოყვანა ეს ხომ ოცნებაა და ბ-ნი ფერშლები კი ჯერ ერთი უცხენოთ წაბრძანებას არ კადრულობენ და ას მანეთამდეც თხოულობენ გასამრჯელოს. ამ გვარათ მძიმე ავადმყოფნი არიან ღვთის ანაბარა მიტოვებულნი და ელიან ლოცვა-კურთხევით განკურნებას, მე მგონია ხალხის გადაშენებას დემოკრატიული მთავრობა ვერ შეურიგდება, რომლისაგანაც დახმარებაა საჭირო. რაც უნდა გამოიხატებოდეს შემდეგში: უნდა გაიგზავნოს საზოგადოებებში ექიმები, რომლებიც ორ-სამ დღეში შემოივლის ყველა საზოგადოებებს, და ინახულებს ყველა ავადმყოფებს, რომელთაც მისცემს, როგორც შესაფერ დარიგებას, აგრეთვე გამოუწერს საჭირო წამლებს. რაც შეეხება წამლებს, თვით ხალხი შეიძენს. ამით გაუწევთ ხალხს დიდ დახმარებას.

ა. გ.

ს. სალხინო (სამეგრელო). თვეზე მეტია რაც აქ მძვინვარებს ე. წ. „ისპანიური“ ავადმყოფობა, რომელმაც ძალიან მაგრათ მოიკიდა ფეხი. ხსენებულ სოფელში ერთი ფერშალი გვყავს, რომელსაც უხდება სიარული ავადმყოფებთან სხვადასხვა სოფლებში და რასაკვირველია ყველა ავადმყოფის წამლობა მის ძალას აღემატება. ისე დღე არ გასულა, რომ ვინმე არ გადაცვლილიყოს. სოფელში არის აფთიაქი, სადაც წამლები საკმარისათ არ მოიპოვება. ხშირად ავადმყოფის პატრონს უხდება 25—35 ვერსის გავლა რომ წამალი მოუტანოს ავადმყოფს. დაგვპირდენ ექიმს გამოგიგზავნითო რაც ჯერ ჯერობით სისრულეში არ მოუყვანიათ. საჭიროა არის მიიღონ სასწრაფო ზომები, დაყოვნება მომაკვდინებელი ცოდვაა, მთელი სოფელი განადგურდება და ექიმის დაგვიანებითი დანიშვნა უმიზნო იქნება.

7 ნოემბერს, ამ სოფლის ბოლოზე მდებარე ტყეს მოეკიდა ცეცხლი და გადაიწვა აუარებელი ტყე. ზარალი უდრის 3—4 მილიონს. ამას ხალხი შორიდან უყურებდა მანამდი, სანამ ძალით არ გამოიყვანა ადგილობრივ მილიციის უფროსმა გ. სულუხიამ. ცეცხლი ჩაქრეს 11 ნოემბერს, მაგრამ გვიანღა იყო.

ხალხი კულტურულად ძლიერ ჩამორჩენილია, იგი ჯერ არ გამორკვეულა, იმატომ რომ გაბალშევიკებული ხალხი აიყოლიეს ესერებმა და 10 ნოემბრის საერობო არჩევნების დროს ყველაზე მეტი ხმა მიიღეს. ესერებმა—650, სოც.-დემ. 134, ფედერალ. 23.

დ. ბახილია.

სოფ. მუხიანი. ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილების [illegible] წელი. [illegible] თითქმის [illegible] ფასო სამკითხველო ქალაქში [illegible] ტომ [illegible] ისი არსებობა [illegible] . მაგრამ ინგლის [illegible] ელყოფილი [illegible] ერთად ადერბეიჯანის, მაგრად მოქმედობს. [illegible] ველ დღესვე, როცა ინგლ[illegible] არის დაკეტილი, სამკითხველო სახურავის უქონლობის გამო ლპება. შენობა ეკუთვნის წ.-კ. საზ. ქუთ. განყოფილებას. თუ ეს გ რემონტება მოეხსენება განყოფილების გამგეობას, რა ზომებს ღებულობს ამის შესახებ? შუხიანის საზოგადოება თუ უარს ამბობს სამკითხველოს შენახვაზე, იმ შემთხვევაში შენობა უნდა გადატანილ იქნას იმ სოფელში, რომლის მცხოვრებნიც იკისრებენ სამკითხველოს გახსნასა და შენახვას. იმედია გამგეობა საჩქაროთ მიიღებს ზომებს ამის შესახებ და შენობას იხსნის ამ ზამთარში დალპობა განადგურებისაგან.

ს. ჯინჭველაშვილი.

# წერილი რედ. მიმართ

მოქალაქე რედაქტორო! გთხოვთ ნება მომცეთ თქვენი პატივცემული გაზეთ „ერთობის“ საშუალებით მადლობა გამოუცხადო აბაშის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭოს სახელით, დაბა აბაშის მოქალაქეს მურზა კაპარავას, რომელმაც ამ სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ შესწირა 100 მანეთი.

აბაშის უმ. დაწყ. სასწ. გამგე.

ბ. რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ გორის, ხიდისთავის და ხაშურის საზოგადოებას, რომელთაც კეთილ ინებეს და პატივი სცეს სიკო ამბრიაშვილის ხსოვნას. ამასთანავე არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ის მხურვალე თანაგრძნობა და ყოველმხრივი დაუფასებელი დახმარება ცხედრის—სიკო ამბრიაშვილის—ხაშურიდან ხიდისთავში გასვენების დროს—ა. მ. იმნაიშვილისა, ნ. ა. თევდორაშვილისა და სხვა ამხანაგებისა, რისთვისაც მათ დიდ მადლობას უძღვნით.

ამბრიაშვილი, ამირთვები, ბეგიაშვილი.


# განცხადებანი

[illegible] ქალი [illegible]

მედიცინის დოქტორი [illegible] უნივერსიტეტისა და [illegible] მედიკურ-ქირურგიული [illegible]. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალთა და ვენერიულ ავადმყოფთ და აძლევს სამეანო დარიგებას. [illegible] 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. მიხეილის პრ., № 119, სახლი [illegible]. ტელ. 9—26.

ექიმი ზ. მ. მუხაძე

იღებს [illegible] ყოველ [illegible] 5—8 საათამდე კვირა დღის გარდა. მისამართი: [illegible] ქ. № 87 [illegible]. ტელ. [illegible]

მიხეილის კერძო სამკურნალო

მუდმივი საწოლებით. მიხეილის პრ. № 167, ტელ. 11—85. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე.

ექ. ა. ნ. შატილოვი თვალ. სნეულ. დილ. 9—10 ს., ა. დ. წულუკიძე ქირურგ. და შინაგ. 9—10 ნახ. ს., ი. ნ. ტერ აკოფოვი ქალ. და საბებიო 10—11 ს., მ. ფ. მგალობლიშვილი ქირ. და ქალ. 11—12 ს., მ. ი. ვაჩნაძე შინაგ. და საბავშო 11—12 ს., ნ. ა. ჯამრეკელი შინაგ. და ნერვ. დღის 12—1 ს., ა. პ. წულუკიძე ქირ. და შინაგ. საღ. 5—6 ს., ქ. ვ. ტყეშელაშვილი ტყავისა და ვენერ. 6—7 ს.

მასაჟი, ელექტრიზაცია, კანის ქვეშ შეშხაპუნება. 606 და 914 შეშხაპუნება. საავათმყოფოსთან არსებობს სამშობიარო განყოფილება ექ. მ. მგალობლისა და ი. ნ. ტერ აკოფოვის ზედამხედველობით.

გაიხსნილა

კერძო სამკურნალო

მუდმივი საწოლებით.

მიიღება ყოველგვარი სნეულებიანი ავათმყოფნი.

მიხეილის პრ. № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ გვერდით) ტელეფ. 5—97. ავათმყოფთა მიღება სპეციალისტ ექიმებისაგან ყოველდღე დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე. ოპერაცია, კონსულტაცია, „914“ და „606“ შეშხაპუნება, მასაჟი, ყვავილის აცრა, სტაციონალური ავათმყოფები მიიღებიან სრული პანსიონით.

სამკურნალო კაბინეთი

ექიმ ალექსანდრე დავითის ძის

კეკელიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავათმყოფებს (91—606 ის შეშხაპუნება). ავათმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი, № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—28.

ექიმი

ა. ნ. შატილოვი

იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემიონოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო).

ექიმი ქალი

ე. ს. კარუძე—მეზურიშვილი.

იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე დილის 12—2 ს. საღამოს 4—6 საათ. იძლევა საბებიო დარიგებას. მისამართი: ბელინსკისა და იზმაილოვის ქუჩების კუთხე № 24—28. შესასვლელი იზმაილოვის ქუჩიდან.

ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი

(მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—6 საათ. შინაგან სნეულებით, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმწოვიჩის აფთიაქის გვერდით.

კბილის საექიმო კაბინეთები

თედორე საყვარელის ძე ცხომელიძისა

ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

ექიმი ლ. ი. ჯაფარიძე

მიიღებს შინაგანის, გულის, ფილტვის და ცხვირის სნეულებებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 [illegible] ქუჩა № 7. [illegible] პირდაპირ. ტელეფონი 16—65

ექიმი შ. ა. შაფრანი.

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქ. № 33.

ექიმი

დიმიტრი იოსების ძე ჟორდანია

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება შინაგანი, ხრონიკული მალარია, სისხლნაკლებობა, ვენერიული, ხრონიკული ტრიპერი, საშარდე მილის სივიწროვე, სიფილისი და მის შედეგები, 606—914 შეშხაპუნება. მიღება საღ. 5—7 ს. მისამართი: გორის ქ. (დიდუბე) № 6. ტელეფ. 1—04.

ექიმი

იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე

ღებულობს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფთ საღამოს 5—7 ს. მიხეილის პრ. № 121, [illegible] 11—96.

მედიცინის დოქტორი

ბერლინის უნივერსიტეტისა

გ. გ. მეგრაბიანცი

ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენიდი და არსეველის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველდღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

გაიხსნა თვალის საავადმყოფო

(მუდმივი საწოლებით)

ექიმი დონხინისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

მედიცინის დოქტორი

ა. გ. მაჭავარიანი

იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს 5—7 ს. ყოველდღე, გარდა კვირისა. მიხეილის ქ. № 111. სახლი ადამოვისა, 2 ფლიგელი. ველის ტელ. № 49.

ექიმი ნიკოლოზ ევანეს ძე

მახვილაძე

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის პირდაპირ.

ტ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლ. არს. ქართ. წარ. მმარ. წრე.

სახალხო სახლი.

კვირას, 1 დეკემბერს, ქ-ნ ელ. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

მეზობლები

დრ. 4 მოქ. ტრ. რამიშვილისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ქ. ბარათაშვილი, თ. გოგოლაშვილი, ს. რომანიშვილი-დგებუაძისა, ქ. ქილარჯიშვილი, იანქოშვილი, ბ-ნნი: ნ. გოცირიძე, ს. რომანიშვილი, ფირაშვილი, ი. მიანდიაშვილი, ა. მეტრეველი, ნინოშვილი, ა. თავდგირიძე, გ. თალაკვაძე, ნ. ჰანკვატაძე.

დასაწყისი საღ. 7 საათზე. ადგილების ფასი 3 მ.—50 კ. მდე. ბილეთების კასა ღიაა ყოველ დღე დილის 12—2-მდე და საღამოს 6—8 საათამდე. შემდეგი წარმოდგენა 7 დეკემბერს. რეჟისორი ი. ბარველი.

სახელმწიფო თეატრი

ოპერა.

შაბათს, 30 ნოემბერს

ტ. საბანევას, ტ. ორდას, ბ. ზალიპსკის, ლ. ისეცკას მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

რიგოლეტო

ფასები დაწეულია. დასაწყისი საღამოს 7½ საათ.

ანონსი: კვირას, 1 დეკემბერს, დილით—„ჯამბაზები“ და „ქორწინება უკრაინაში“, საღამოთი—„დუბროვსკი“. სამშაბათს, 3 დეკემბერს—„ქ ნი ბატერფლეი“, ოთხშაბათს, 4 დეკემბერს—„მოცარტი და სალიერი“ და „სევილიელი დალაქი“.

საქართველოს სოც.-დემ. მ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებობს

სეკრეტარიატი,

რომელიც აძლევს პროვინციის ორგანიზაციებს პასუხს ყოველგვარ შეკითხვაზე. სეკრეტარიატი მოთავსებულია „ერთობის“ რედაქციის გვერდით, გოლოვინის პრ. № 12. ბიურო ღიაა დილის 9—2 ს. და საღამოს 5—8 ს. ტელეფ. № 16—62.

განცხადება

თანახმათ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის ჟურნალიდან ამონაწერისა 1 ოქტომბერს 1918 წელს დაარსდა კომისია, შემდგარი იუსტიციის და სამხედრო სამინისტროების წარმომადგენლებისაგან. კომისიის დანიშნულებაა გარჩევა სოფლის მცხოვრებთა საჩივრების ჯარისკაცებზე და სახალხო გვარდიის ნაწილებზე. კომისიაში სამხედრო სამინისტრომ აირჩია წევრათ ხსენებულ სამინისტროში ჩარიცხული პოლკოვნიკი ივანე სოლომონის ძე ყანჩელი, იუსტიციის სამინისტრომ კი ტფილისის საოლქო სასამართლოს პროკურორი მიხეილ არჩიპის ძე ტატიშვილი.

საჩივრები მიიღება ტფ. საოლქო სასამართლოს პროკურორის კამერაში.

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ოთხშაბათს 4 დეკემბერს დღის 12 საათ. ქალაქის გამგეობის თანადასწრებით მოხდება

საჯარო ვაჭრობა

იჯარით გაიცემა მდინარე მტკვრით დიდუბეში გადასასვლელი ნავების გაკეთების და მოწყობის საქმე. კონდიციებისა და ყოველივე ცნობების მიღება შეიძლება სამეცადინო საათების დროს საიჯარო-სამიწათ მოქმედო განყოფილების კანცელარიაში. (2—2)

ნიკოლოზ სიმონის ძე მეტეხელი ამ რამდენიმე თვის უკან წავიდა ქ. ფოთში და მას შემდეგ მისგან არავითარი ცნობა არ მიგვიღია, ვსთხოვთ ყველას, თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ, შეგვატყობინოს შემდეგი მისამართით: კაჩუბეევის შესახვევი, № 11. თამარა მეტეხელს. (3—3)

შაქარი

ტფილისის ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილება ამით აცხადებს ტფილისის მცხოვრებთა საყურადღებოთ, რომ ამა წლის 1 დეკემბრიდან მოქალაქეთ დაურიგდებათ ერთდროულად ორი თვის (ნოემბრის და დეკემბრის) შაქარი. შაქრის ნორმა და ფასი იგივე იქნება რაც გასულ ოქტომბრის თვეში იყო. რაიონულ კომიტეტებს და კოოპერატივებს კი შეუძლიათ მიიღონ შაქრის მისაღები ორდერები ხუთშაბათიდან, 28 ნოემბრიდან, საჭირო თანხის წარდგენის შემდეგ. (3—2)


[illegible] მბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი. № 1.